

472
1966

37/05
საქართველოს
საბჭოთავო
ინფორმაცია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

კრებულში

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

1

იანვარი

თბილისი - 1966

რედაქტორი უშ. თბილისი
კორექტორი ე. აგლაძე

ფასი 10 კპვ.

ბელოწერილია დახატულად 16/II-66 წ. ანაწილის ზომა 6×91/2,
ქალაქის ზომა 60×84. ხასტამბო ფორმათა რაოდენობა 6,25.

ტირაჟი 5000.

უფ—00631

შეკვ. № 63.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 11
ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქუჩა № 19

Тбилисская типография № 11, Главполиграфпрома
Государственного комитета совета Министров Груз. ССР по печати
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе № 19

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
წლის 18 დეკემბრის ბრძანება № 1352

საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის
შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

10.360

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს
სსრ მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 16 ნოემბერს საქართველოს
სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების
ზომების შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღეს. ამ დადგენილე-
ბაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტე-
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22
ივნისის № 516 დადგენილების შესაბამისად, უკანასკნელი წლების
მანძილზე რესპუბლიკაში განხორციელდა სერიოზული ღონისძიე-
ბანი, გაფართოვდა საბავშვო დაწესებულებათა ქსელი, გაიზარდა
აღსაზრდელთა კონტინგენტი, გაუმჯობესდა სკოლამდელი ასაკის
ბავშვთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების მდგომარეობა.

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდის ერთიანი სისტემის
ნხორციელების ინტერესებისათვის რესპუბლიკაში ბავშვისა და
ბავშვო ბაღების უმეტესობა გაერთიანებულია ერთ სკოლამდელ
ბავშვო დაწესებულებად—ბაგა-ბაღად. მშენებლობა, როგორც წე-
სი, წარმოებს გაერთიანებულ სკოლამდელ დაწესებულებათა ტიპობ-
რივი პროექტებით.

ამჟამად რესპუბლიკაში არსებობს 1.313 საბავშვო სკოლამ-
დელი დაწესებულება, სადაც იზრდება 86,7 ათასი ბავშვი, ანუ 11,4
ათასით იმაზე მეტი, რაც ვათვალისწინებულა შეიძწლიანი გეგმით.

კარგად არის დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა და სა-
მედიცინო მომსახურება თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის
და რუსთავის, აგრეთვე ახალციხის, გორის, ზესტაფონის, მახარაძი-



სა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის მთელ რიგ სკოლამდელ დაწესებულებებში.

ამასთან ერთად, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებებით მოსახლეობის უზრუნველყოფის, მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების, სკოლამდელი აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების საქმეს არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

რესპუბლიკის ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებანი მოიცავენ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მთელი კონტინენტის მხოლოდ 13 პროცენტს. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა სოფლად, სადაც საბავშვო ბალები და ბაგები სკოლამდელთა მხოლოდ 3,9 პროცენტს მოიცავენ, მოქმედი სკოლამდელი დაწესებულებანი ძლიერ გადატვირთულია. საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, მ/წლის I იანვრისათვის სკოლამდელ დაწესებულებებში 100 ადგილზე მოდიოდა საშუალოდ 163 აღსაზრდელი. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განვითარების ტემპები სერიოზულად ჩამორჩება სკოლამდელი კონტინენტის ზრდას.

მთელი რიგი სკოლამდელი დაწესებულებანი მოთავსებულია ნაჭირაგებ და შეუფერებელ სადგომებში, რაც ხელს უშლის სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვას და აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას.

მიუხედავად ამისა, სისტემატურად არ სრულდება სკოლამდელ დაწესებულებათა საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის არადაამაკმაყოფილებლად შესრულებასთან დაკავშირებით, 1962—1965 წლებში საექსპლოატაციოდ არ ყოფილა გადაცემული 3,5 ათასი ბავშვის ადგილი, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებათა ათვისება სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობაში შეადგენდა 63%-ს. საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება კი 33%-ს.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი, რასაც ადგილი აქვს სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა მოწყობილობით, რბილი და მაგარი ინვენტარით მომარაგების, აგრეთვე კვების ორგანიზაციის საქმეში. კარგ მდგომარეობაში არ არის სკოლამდელ დაწესებულებათა დაკომპლექტება პედაგოგებით, განსაკუთრებით უწყებრივ საბავშვო ბალებსა და ბაგებში. ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში არადაამაკმაყოფილებლად წარმოებს სკოლამდელ დაწესებულებათა აღრიცხვა-ანგარიშგება.



დადგენილებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას, არ იღებენ სათანადო ზომებს იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმის აუცილებელი შესრულება.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი განვითარებისა და სკოლამდელთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს:

გააძლიერონ ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, მიიღონ კონკრეტული ზომები სკოლამდელთა აღზრდისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მომარაგებას კვების პროდუქტებით და მიიღონ საჭირო ზომები ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრელად;

დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლამდელ დაწესებულებათა გამაჯანსაღებელი მუშაობის გაფართოებასა და გაუმჯობესებას ზაფხულობით;

შეუსუსტებელი კონტროლი გაუწიონ საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობას, ყოველდღიური დახმარება აღმოეჩინონ სამშენებლო ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ობიექტების გადაცემა საექსპლუატაციოდ დაწესებულ ვადებში;

მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რათა განუხრელად შესრულდეს შემდგომი ორგანოების დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება სათანადო ფართობის გამოყოფას ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებისათვის მშენებლობაში მყოფი სახლების პირველ სართულზე.



შიემუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საბავშვო ბაღებისა და ბაგების იმ სადგომების განთავისუფლებისათვის, რომლებიც არ არიან დანიშნულებისამებრ გამოყენებული, აგრეთვე იმისათვის, რომ სკოლამდელ დაწესებულებებს გადაეცეს მათთვის გამოსადეგი შენობები;

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს დაევალა მიიღონ საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან სკოლამდელი დაწესებულებანი ავეჯით, ინვენტარით, თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებითა და სათამაშოებით რესპუბლიკის განათლების სამინისტროს განცხადების შესაბამისად, ამასთან განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციონ პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და მათი ხარისხის გაუმჯობესებას;

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა გააძლიეროს პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი მუშაობა საბავშვო ბაღებში, ბაგა-ბაღებსა და ბაგებში და მიიღოს საჭირო ზომები საბავშვო ბაგების მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და განვითარებისათვის;

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა უნდა უზრუნველყონ სკოლამდელ დაწესებულებათა შეუფერხებელი მომარაგება მაღალხარისხოვანი კვების პროდუქტებით, დამტკიცებული ნორმებისა და ასორტიმენტის შესაბამისად.

დადგენილება ითვალისწინებს უწყებრივ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში აღმზრდელთა მიღება სამუშაოზე ხორციელდებოდეს განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს ევალება მიიღონ ზომები, რათა გაფართოვდეს ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელი, გაუმჯობესდეს სკოლამდელთა აღზრდა და სამედიცინო მომსახურება მათ განმგებლობაში არსებულ საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში.

საქართველოს სსრ მშენებლობის და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებს, საქმთავარკოლმეურნეშენს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა მიიღონ გადამწყვეტი ზომები, რა



თა დროულად იქნას ათვისებული ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები, მკვეთრად გაუმჯობესდეს სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი, არ იქნეს დაშვებული საბავშვო ბაღების, ბავა-ბაღებისა და ბავების საექსპლოატაციოდ გადაცემის შესახებ დაწესებული ვადების დარღვევა.

რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან ფართოდ გამოიყენონ პარტიული და პროფკავშირული კომიტეტების მონაწილეობით სოციალისტურ-კულტურულ ღონისძიებათა ფონდის სახსრები ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობისა და კაპიტალური რემონტისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს კპ მინისტრთა საბჭომ რჩევა მისცეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გაითვალისწინოს 1966 წლის გეგმით განმეორებით გამოცემა „საბავშვო ბაღების აღზრდის პროგრამისა,“ აგრეთვე სხვა მეთოდური ლიტერატურისა სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ უნდა განიხილოს საკითხი, პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში სკოლამდელი დაწესებულებების აღზრდელთა კადრების მომზადების შესახებ და ერთი თვის ვადაში წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავისი წინადადებათა ამ საკითხზე.

დადგენილება ითვალისწინებს ღონისძიებათა გატარებას საიმისოდ, რათა სკოლამდელთა კვებისათვის არსებული თანხის ნორმა გადიდდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს დღიური ნორმით გათვალისწინებული კვების პროდუქტების მთლიანად შეძენა და აგრეთვე საკითხის განხილვას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის აღდგენის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 ნოემბრის № 669 დადგენილებების შესასრულებლად,

1. აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებმა, ს/რ სე ტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა დააწესონ სკოლამდელ დაწესებულებათა საქმიანობაზე, სისტემატურად შემოწმონ მათი მუშაობა, პერიოდულად განიხილონ შემოწმების შედეგები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დაწესებულებათა საქმიანობის რადიკალურად გარდაქმნისათვის.

ბ) არსებითად გააუმჯობესონ მეთოდური დახმარება როგორც განათლების სისტემის, ასევე უწყებრივი დაქვემდებარების სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკებისადმი;

გ) უწყებრივ სკოლამდელ დაწესებულებებში არ დაუშვან მუშაკთა დანიშვნა განათლების ორგანოების თანხმობის გარეშე;

დ) გაატარონ ყველა ღონისძიება სკოლამდელი დაწესებულებებიდან კერძო პირების გამოსაყვანად და იმ სადგომების გასათავისუფლებლად, რომლებიც არადანიშნულებით არის გამოყენებული;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის ნორმალურად და მაღალ დონეზე ჩატარებას და დროულად იზრუნონ სააგარაკო ადგილებში სათანადო ბინების შერჩევაზე, ბავშვთა კონტინენტის განსაზღვრაზე და სააგარაკოდ გასაყვანი ბალების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებაზე;

ვ) აღნიშნული ბრძანება ერთი თვის ვადაში განიხილონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკების რაიონულ, საქალაქო შეკრებებზე და დასახონ ღონისძიებანი სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის; ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს არა უგვიანეს 1966 წლის 10 თებერვლისა.

2. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ, სკოლამდელ განყოფილებასთან ერთად (ამხ. ა. კვაჭაძე, გ. აბდუშელიშვილი) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად წარმოადგინონ წინადადებანი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კვებისათვის სახსრების გადიდებისა და სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის აღდგენის შესახებ.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მიიღოს ყველა ზომა, რათა სკოლამდელი დაწე-

სებულებანი უზრუნველყოფილი იქნან ავეჯით, ინვენტარით, თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებითა და სათამაშოებით.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიკაშვილი) შეუსუსტებელი კონტროლი დააწესოს სკოლამდელ დაწესებულებათა მშენებლობის ხარისხიანად და დროულად დასამთავრებლად.

5. პედაგოგიურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებმა (ამხ. გ. ფოფხაძე, თ. ზახაშვილი) გააძლიერონ მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება სკოლამდელი დაწესებულებებისადმი.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი, რათა სკოლამდელი დაწესებულებების მზარდი ქსელის დასაკომპლექტებლად კვალიფიციური კადრებით ა. ს. პუშკინის სახელობის ქ. თბილისის და ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში უმოკლეს ვადებში იქნას გახსნილი სკოლამდელი აღზრდის ფაკულტეტები.

7. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს დააჩქაროს საბავშვო ბაღებისათვის აღზრდის პროგრამის გამოცემა.

8. გაზეთ „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. ამხ. ნ. შველიძე, გ. საჯაია) სისტემატურად გააშუქონ საკითხები სკოლამდელთა მუშაობაზე და განაზოგადონ მოწინავეთა გამოცდილება.

9. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბდუშელიშვილი) სისტემატური მეთვალყურეობა დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 17 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965
წლის 25 დეკემბრის ბრძანება № 1373

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV და ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგებისა და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV და ნორჩ გემთმოდელისტთა III რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ უკანასკნელ ხანებში ავიამოდელიზმმა და გემთმოდელიზმმა რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის შორის დიდი გავრცელება პოვა. უკანასკნელი წლების მანძილზე ჩატარებულმა რესპუბლიკურმა შეჯიბრებებმა და სპორტის ამ სახეობაში საქართველოს მოსწავლეთა გუნდების საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობამ დაადასტურა ის დიდი ინტერესი და მიდრეკილება, რასაც ჩვენი ახალგაზრდობა იჩენს ამ საქმისადმი.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა გაჩაღდა რესპუბლიკის ბევრ სკოლასა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებაში სპორტის ტექნიკურ სახეობებში III სპარტაკიადისათვის მზადების მიმდინარეობის პერიოდში.

რიგ სკოლებსა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებში ჩამოყალიბებულ ნორჩ ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეებში ასობით პიონერი და მოსწავლე, თეორიული საკითხების შესწავლასთან ერთად, პრაქტიკულად აგებს სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავებისა და გემების მოქმედ მოდელებს.

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV რესპუბლიკურ პირად-გუნდურ შეჯიბრებაში, რომელიც 1965 წლის 6-დან 10 ივლისამდე ჩატარდა, მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის რადიონებისა და ქალაქების 15-მა გუნდმა 140 მოსწავლით (შარშან მონაწილეობდა 12 გუნდი 117 მოსწავლით), ხოლო ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის რაიონებიდან და ქალაქებიდან წარმოგზავნილმა 61-მა მოსწავლემ (შარშან მონაწილეობდა 14 მოსწავლემ).



ჩატარებულმა შეჯიბრებებმა დაადასტურეს, რომ ავიამოდე-
ლისტებისა და გემთმოდელისტების ცოდნის დონე, წინათ ჩატარე-
ბულ შეჯიბრებებთან შედარებით, ბევრად ამაღლდა. მოსწავლეთა
მიერ შეჯიბრებებზე წარმოდგენილი მოდელები ესთეტიკური, სა-
ვალი და საფრენოსნო მონაცემებით კარგი იყო. სწორედ ამის
შედეგი იყო ის, რომ აღნიშნული შეჯიბრებები ჩატარდა მაღალ
სპორტულ დონეზე, სადაც გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი ავიამო-
დელისტი და გემთმოდელისტი, რომელთა მოდელებმაც მაღალი
შეფასება მიიღეს.

ნორჩ ავიამოდელისტთა შეჯიბრებაზე ოსტატის კანდიდატის
ნორმა შეასრულა ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის VIII კლასის
მოსწავლემ იური აბრამენკოვმა. ქ. თბილისის მოსწავლეებმა
ირაკლი მელქუამ, იგორ კაპჩინსკიმ, ნუგზარ წიკლაურმა, ალექსანდრე
გონგინმა, მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის მოს-
წავლე ალექსანდრე თენგიშვილმა და სხვებმა შეასრულეს I და II
სპორტული თანრიგის ნორმები. ქ. თბილისის მე-2 საშუალო სკო-
ლის VIII კლასის მოსწავლის ვიქტორ ნარკევიჩის მიერ დამზადე-
ბულმა ექსპერიმენტულმა მოდელმა დაამყარა რესპუბლიკური
რეკორდი. ამ მოდელმა ჰაერში დაჰყო 6 წუთსა და 48 წამს.

აღნიშნულ შეჯიბრებაში მოსწავლეები მონაწილეობდნენ აგრეთვე
რაკეტის კლასის მოდელებით. ქ. თბილისის 39-ე საშუალო სკოლის
X კლასის მოსწავლემ რობერტ მანაშეროვმა ამ კლასის მოდელთა
შორის სარეკორდო დრო უჩვენა, რომელიც აღემატება საკავშირო
შეჯიბრების შედეგებს. ჩატარებული შეჯიბრების შედეგად სერ-
თო გუნდური I ადგილი მოიპოვა ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგურის გუნდმა (ხელმძღვანელი რ. შმატკოვი), II ადგილი — ბ.
ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გუნდ-
მა (ხელმძღვანელი ბ. ჟუიკოვი), ხოლო III ადგილი მოიპოვა ქ. თბი-
ლისის 83-ე საშუალო სკოლის გუნდმა (ხელმძღვანელი ო. სემიო-
ნოვი).

ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე, პირ-
ველად ჩვენს პირობებში, მონაწილეობდნენ რადიოთი სამართავი
გემის მოქმედი მოდელები, რომლებიც მანძილიდან 4 განკარგულების
გადაცემის საშუალებას იძლეოდნენ. ამ სახის მოქმედ მოდელებში
რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა თბილისის მე-20 საშუალო
სკოლის IV კლასის მოსწავლემ ალა ნუცუბიძემ. სვლის კარგი შე-
დეგი უჩვენა თბილისის 64-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავ-
ლის არჩილ მაისურაძის მიერ დამზადებულმა თვითმავალი ბუქსი-



რის მოქმედმა მოდელმა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა ბათუმის მე-10 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის ანატოლ მოროზოვის მიერ დამზადებულმა წყალქვეშა ნავის მოქმედმა მოდელმა.

გემთმოდელისტთა შეჯიბრებაზე წარმოდგენილ მოდელთა უმრავლესობამ ცხადპყო პიონერ-მოსწავლეთა დამაკმაყოფილებელი მომზადება საზღვაო-სამდინარო გემების მოდელების გაანგარიშებისა და დამზადების საქმეში.

ეს მოდელები გამოირჩეოდნენ თავისებური ორიგინალობითა და გარეგანი ვაფორმებით. ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე წარმოდგენილი მოქმედ მოდელთა უმრავლესობა აკმაყოფილებდა დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის საზღვაო კლუბმა (ხელმძღვანელი თ. ლატარია), მეორე—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გუნდმა (ხელმძღვანელი მ. ცალქალამანიძე), ხოლო მესამე ადგილი—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გუნდმა (ხელმძღვანელი ვ. მოროზოვი).

ნორჩ ავიამოდელისტთა და ნორჩ გემთმოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებამ დადებით მხარეებთან ერთად გამოავლინა ისიც, რომ რესპუბლიკის ზოგიერთმა განათლების განყოფილებამ არ შეასრულა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებები სპორტის ტექნიკურ სახეობებში სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებების მონაწილეობის შესახებ.

ახალქალაქის, აბაშის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ბორჯომის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის. ლანჩხუთის, მცხეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ხაშურის, ცხაკაიას და სხვა რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებები ფორმალურად მოეკიდნენ ამ საქმეს, რის გამოც ვერ უზრუნველჰყვეს მოსწავლეთა გუნდების დაკომპლექტება და მათი გამოგზავნა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

ჯერ კიდევ ბევრი სკოლა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგური არ ზრუნავენ ამ სახეებში წრეების ჩამოყალიბებაზე, ხოლო იქ, სადაც ასეთი არსებობს, არ უწყევენ მათ ქმედით დახმარებას.

შეჯიბრების ჩატარებამ გამოავლინა აგრეთვე ისიც, რომ პიონერთა სახლებისა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურების უმრავლესობამ არ მიიღო მასში მონაწილეობა (აფხაზეთის ასსრ ნორჩ ტექ-



ნიკოსთა საოლქო სადგური, ქ. თბილისის ლენინის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, კიროვისა და 26 კომისრის სახ. რაიონების პიონერთა სახლები, ქ. ფოთისა და ზუგდიდის პიონერთა სახლები და სხვ.). გემთმოდელისტთა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია ს/ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის პიონერთა სახლებსა და ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ გემთმოდელისტებს.

ავიამოდელისტთა შეჯიბრებაში სუსტი იყო ს/ოსეთის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო, ქ. ქუთაისისა და ქ. ჰიათურის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურების მონაწილე გუნდების ტექნიკური შედეგების დონე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV და ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკური პირად-გუნდური შეჯიბრებების ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტები გამარჯვებული გუნდებისა და ცალკეული მოსწავლეების დაჯილდოების შესახებ დამტკიცდეს (დანართი №№ 1—2).

2. ნორჩ ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეების მუშაობაზე ნაყოფიერი დახმარებისა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე სათანადო წარმატების მოპოვებისათვის გამოეცხადოთ მადლობა და დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა მუშაკები:

1. შმატკოვი რუდოლფ—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიალაბორატორიის გამგე;
2. ჟუიკოვი ბორის—ბ. ძნელაძის სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიალაბორატორიის გამგე;
3. სემიონოვი ოლეგ—თბილისის 83-ე საშუალო სკოლის ავიაწრის ხელმძღვანელი;
4. სტარინინი ვიტალი—რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი;
5. მოისწრაფიშვილი ქოლა—მანარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა წრის ხელმძღვანელი;
6. ვორობეიჩიკი იაკობ—თბილისის 83-ე საშუალო სკოლის დირექტორი;



7. გობრონიძე შოთა—მახარაძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის დირექტორი;
8. გვენცაძე ვასილ—რუსთავის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის დირექტორი;
9. ლავრენტიევი ანდრია—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფრ. მოადგილე, გემთმოდელისტთა შეჯიბრების მთავარი მსაჯე;
10. დავითაშვილი ვლადიმერ—თბილისის 62-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი, ავიამოდელისტთა შეჯიბრების მთავარი მსაჯე;
11. ჩილიჯიანი სურენ—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის ავიალაბორატორიის გამგე;
12. შერვაშიძე კარლო—აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის დირექტორი;
13. ეგოროვი ალექსი—ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის ავიაწრის ხელმძღვანელი;
14. ლეკვეიშვილი მერი—ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი;
15. არენშილდი არტურ—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გემთმოდელისტთა წრის ხელმძღვანელი.
3. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ბაზაზე 1966 წლის ზაფხულში ჩატარდეს ნორჩ გემთმოდელისტთა III და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკური შეჯიბრებები.
გემთმოდელისტთა შეჯიბრება ჩატარდეს 1966 წლის 27-დან 30 ივნისამდე, ხოლო ნორჩ ავიამოდელისტთა შეჯიბრება—1966 წლის 6 დან 10 ივლისამდე.
5. ნორჩ გემთმოდელისტთა შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:
 1. ფერაძე ბიძინა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;
 2. შევარდნაძე ალექსანდრე—საქართველოს სსრ დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის მაშველი სადგურებისა და საზღვაო კადრების მომზადების უფროსი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;
 3. ორახელაშვილი ალექსანდრე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;



4. ოსტროვსკაია ვალენტინა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე;

5. ბერიძე კონსტანტინე—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსი;

6. ლავრენტიევი ანდრია—დოსააფის თბილისის კომიტეტის საზღვაო კლუბის უფროსის მოადგილე;

7. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი;

8. კიკნაძე გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მეთოდისტი;

9. ლატარია თენგიზ—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის გემთმოდელისტთა ლაბორატორიის გამგე.

6. ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკური შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ბეროზაშვილი ირაკლი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე;

2. ტყეშელაშვილი შოთა—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ავიასპორტკლუბის უფროსი—საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

3. ოსტროვსკაია ვალენტინა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე;

4. ორახელაშვილი ალექსანდრე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

5. ეპიტაშვილი გიორგი—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი;

6. შმატკოვი რუდოლფ—ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიალაბორატორიის გამგე;

7. თოფაძე ნიკოლოზ—დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტის ავიალაბორატორიის გამგე.

7. ნორჩ გემთმოდელისტთა III და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების დებულებები დამტკიცდეს (თან ერთვის);

8. ზემოაღნიშნული შეჯიბრებების საორგანიზაციო კომიტეტებმა შეადგინონ სამუშაო გეგმები, უხელმძღვანელონ შეჯიბრებების ჩატარებას და პერიოდულად მოახსენონ განათლების სამინისტრ-

როს ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა გუნდების მზადების მიმდინარეობის შესახებ.



9. ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა (ამხ. გ. ეპიტაშვილი):

ა) შეჯიბრების მზადების საქმეში გაუწიოს სათანადო დახმარება სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გემთსამოდელო და ავიასამოდელო წრეების ხელმძღვანელებს;

ბ) მიავლინოს სპეციალისტები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეჯიბრებების მზადებისათვის სკოლებზე დახმარების აღმოსაჩენად; აღმოუჩინოს ქმედითი დახმარება ახლად ჩამოყალიბებულ ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეებს;

გ) ა/წ 25 დეკემბრამდე შეადგინოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველოს შეჯიბრების ჩატარების საჭიროებისა და საწრეო მუშაობისათვის აუცილებელი მასალების სია;

დ) უზრუნველჰყოს 1966 წლისათვის ავია და საზღვაო დარგებში მოქმედ მოდელთა აღწერილობების მომზადება და მათი გამოშვება ბროშურების სახით.

10. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ის განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ავიამოდელისტთა XXXIV და გემთმოდელისტთა II რესპუბლიკური შეჯიბრებების შედეგები და ავიამოდელისტთა XXXV და გემთმოდელისტთა III რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარების პირობები და დებულებები გააცნონ რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა დირექტორებსა და წრის ხელმძღვანელებს; უზრუნველჰყონ შეჯიბრებებში მოსწავლეთა მასობრივად მონაწილეობა;

ბ) შეჯიბრებების ჩატარებისათვის ზუსტად იხელმძღვანელონ არსებული დებულებებით;

გ) დებულებების მიხედვით შექმნან ხელშემწყობი კომიტეტები და 1966 წლის 25 მაისამდე ადგილებზე ჩაატარონ შეჯიბრებები, ხოლო რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის სათანადოდ დააკომპლექტონ ნაკრები გუნდები;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები, რათა თითოეულ სკოლაში ჩამოაყალიბონ ავიამოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ ნაყოფიერ მუშაობას;

ე) რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის მზადდება როგორც წესი, დაიწყონ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში

11. ქ.ქ. თბილისისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების, ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო და საქალაქო სადგურებისა და პიონერთა სახლების დირექტორებმა გადამჭრელი ზომები მიიღონ ავია მოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეების ნორმალური მუშაობისათვის და მათი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირონ შეჯიბრების ამოცანებს.

12. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმოსაფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) გაითვალისწინოს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის 1966 წლის ბიუჯეტში ნორჩ ავია მოდელისტთა და გემთმოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარებისა და მოქმედ მოდელთა აღწერილობების შედგენისა და დაბეჭდვისათვის საჭირო თანხა.

13. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) საორგანიზაციო კომიტეტების მოთხოვნის მიხედვით გამოყოს რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარებისა და საწრეო მუშაობისათვის აუცილებელი მასალები.

14. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ რედაქციებმა პერიოდულად გააშუქონ ნორჩ ავია მოდელისტთა და გემთმოდელისტთა წრეების მუშაობა და შეჯიბრებისათვის მზადების საკითხები.

15. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია) უხელმძღვანელოს ავია მოდელისტთა და გემთმოდელისტთა შეჯიბრებების მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV და ნორჩ გემომოდელისტთა II რესპუბლიკური
შეჯიბრებების შედეგები და გამარჯვებული კოლექტივები, რომლებსაც გადაეცათ
ფასიანი ხაჩუქრები და დიპლომები

| №№ რიგზე | ორგანიზაციის დასახელება | დაჯივრებული ადგილი | რით დაჯილდოვდა |
|----------|---|--------------------|--|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ავიამოდელისტთა 1-ლი გუნდი | I | 1-ლი ხარისხის დიპლომითა და 40 მანეთის ღირებულების თასით |
| 2 | დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის საზღვაო კლუბის გუნდი | I | 1-ლი ხარისხის დიპლომითა და 40 მანეთის ღირებულების თასით |
| 3 | ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიამოდელისტთა მე-2 გუნდი | II | მე-2 ხარისხის დიპლომითა და 15 მანეთის ღირებულების ვიმპელით |
| 4 | ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის გემომოდელისტთა გუნდი | II | მე-2 ხარისხის დიპლომითა და 15 მანეთის ღირებულების ვიმპელით |
| 5 | ქ. თბილისის მკ-ე საშუალო სკოლის ავიამოდელისტთა გუნდი | III | მე-3 ხარისხის დიპლომით |
| 6 | აჭარის ისს რესპუბლიკის ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის გემომოდელისტთა გუნდი | III | მე-3 ხარისხის დიპლომით |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|----|--|------|---|
| 7 | იფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის მოსწავლე-გემთმოდელისტთა გუნდი | IV | — |
| 8 | ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის მოსწავლე-ავიამოდელისტთა მე-2 გუნდი | IV | — |
| 9 | ბ. ძნელაძის საზ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სახახლის მოსწავლე-ავიამოდელისტთა 1-ლი გუნდი | V | — |
| 10 | ქ. ფოთის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის მოსწავლე-გემთმოდელისტთა გუნდი | V | — |
| 11 | ქ. ქუთაისის მოსწავლე-გემთმოდელისტთა გუნდი | VI | — |
| 12 | მხაბრძის რაიონის მერიის საშუალო სკოლის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | VI | — |
| 13 | ქ. რუსთავეის ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო სადგურის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | VII | — |
| 14 | გეგეჭკორის რაიონის მოსწავლე-გემთმოდელისტთა ხაკრები გუნდი | VII | — |
| 15 | აჭარის ასსრ ნორჩ ტექნიკოსთა საოლქო სადგურის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | VIII | — |

| 1 | 2 | 3 | 4 |
|----|--|---------|---|
| 16 | ქ. რუსთავეის ნორჩ ტექნიკოსთა საჭალაქო სადგურის მოსწავლე-გემთმოდელისტთა გუნდი | VIII | — |
| 17 | ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | IX | — |
| 18 | ქ. ტყიბულის მოსწავლე-გემთმოდელისტთა გუნდი | IX | — |
| 19 | ახალციხის რაიონის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | X | — |
| 20 | ქ. ქუთაისის, ქ. ჭიათურისა და ქ. ცხინვალის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდები | XI-XIII | — |
| 21 | ანგეთის მოსწავლე-ავიამოდელისტთა გუნდი | XIV | — |

ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV და ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე გამარჯვებული მოხწავლეებისა, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და ფახიანი საჩუქრებით

| №№ რაზმზე | გვარი, სახელი | რაიონი, ქალაქი | სკოლა | კლასი | რა სახეობასა და კლასის მოდელებში დაჯილდოვდა |
|--|--------------------|-------------------|-------|-------|--|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1-ლი ხარისხის დიპლომითა და 10 მანეთის ღირებულების ფახიანი საჩუქრით | | | | | |
| 1 | კაპინსკი ივორ | ქ. თბილისი | მე-11 | XI | პლანერის მოკმედ მოდელებში |
| 2 | აბრამენკოვი იური | „ | 1.9-ე | VIII | თვითმფრინავის რეზინძრავიან მოდელებში |
| 3 | გონგინი ალექსანდრე | „ | 37-ე | IX | თვითმფრინავის ტაიმერიან მოდელებში |
| 4 | ნარკვეიჩი ვიტალი | „ | მე-2 | VIII | თვითმფრინავის ექსპერიმენტულ მოდელებში |
| 5 | მანაშეროვი რობერტ | „ | 39-ე | X | რაკეტის მოკმედ მოდელებში |
| 6 | გავა ვლადიმერ | „ | 64-ე | VIII | თვითმფრინავის ასლმოდელებში |
| 7 | კალანდაძე რუსლან | „ | 43-ე | X | „საჰაერო ბრძოლების“ თვითმფრინავების მოკმედ მოდელებში |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|----|---|-------------------|------------|------|--|
| 8 | ნუტუბიძე ილა | ქ. თბილისი | მე-20 | IV | რადიოთიხამართავი გემების მოკმედ მოდელეზში |
| 9 | მოროზოვი ანატოლ | ქ. ბათუმი | მე-10 | V | წყალქვეშა ნავეზის მოკმედ მოდელეზში |
| 10 | მაისურაძე არჩილ | ქ. თბილისი | 64-ე | X | თვითმავალი გემების მოკმედ მოდელეზში |
| 11 | იღამიცი ანატოლ | " | მე-2 | IX | ჩქაროსნულ გემების მოკმედ მოდელეზში |
| | მე-2 ხარისხის დიპლომითა და 5 მანეთის ღირებულების ფასიანი საჩუქრით | | | | |
| 1 | გიმიჯიანი ვაზგენ | ქ. ბათუმი | მე-11 | VIII | რადიოთი სამართავი გემების მოკმედ მოდელეზში |
| 2 | ტერენტიევი ლეონიდე | ქ. ფოთი | მე-8 | IX | წყალქვეშა ნავეზის მოკმედ მოდელეზში |
| 3 | გრიშაშვილი ილა | ქ. თბილისი | 48-ე | VII | თვითმავალი გემების მოკმედ მოდელეზში |
| 4 | თენიშვილი ალექსანდრე | მ. ხარაძის რაიონი | მერიის ს/ს | XI | „საპერო ბრძოლების“ თვითმფრინავეების მოკმედ მოდელეზში |
| 5 | ზუბანოვი ვლადიმერ | ქ. ტყვარჩელი | მე-2 | VII | თვითმფრინავის ასლმოდელეზში |
| 6 | ოსიპოვი მიხეილ | ქ. რუსთავი | მე-11 | XI | რაკეტის მოკმედ მოდელეზში |
| 7 | კაპინსკი იგორ | ქ. თბილისი | მე-11 | XI | თვითმფრინავის ექსპერიმენტულ მოდელეზში |

| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
|-------------------------------|--------------------|------------|-------|------|---|
| 8 | ელიაზოვი თემურ | ქ. თბილისი | 66-ე | VIII | თვითმფრინავის ტაიმერიან მოდელებში |
| 9 | კალანდაძე რუსლან | „ | 43-ე | X | თვითმფრინავის რეზინძრავიან მოდელებში |
| 10 | ზალეტოვი ვალერი | „ | 83-ე | VIII | პლანერის მოქმედ მოდელებში |
| მე-3 ხარისხის დიპლომით | | | | | |
| 1 | წიკლაური ნუგზარ | ქ. თბილისი | 83-ე | X | პლანერის მოქმედ მოდელებში |
| 2 | მელქეა ირაკლი | „ | მე-8 | IX | თვითმფრინავის რეზინძრავიან მოდელებში |
| 3 | კნიგა ივორ | „ | 83-ე | X | თვითმფრინავის ტაიმერიან მოდელებში |
| 4 | არტიუბოვი ნიკოლოზ | ქ. ბათუმი | მე-15 | X | თვითმფრინავის ექსპერიმენტულ მოდელებში |
| 5 | ტალესნიკი ვლადიმერ | ქ. თბილისი | 83-ე | VII | რაკეტის მოქმედ მოდელებში |
| 6 | გალუშკო ალექსანდრე | ქ. ბათუმი | მე-18 | XI | „საპერო ბრძოლების“ თვითმფრინავების მოქმედ მოდელებში |
| 7 | კუდრიაშოვი მიხეილ | ქ. თბილისი | 64-ე | X | რადიოთი სამართავი გემების მოქმედ მოდელებში |
| 8 | ჩატოვი | ქ. სოხუმი | მე-3 | VIII | წყალქვეშა ნავების მოქმედ მოდელებში |
| 9 | ბაზოვი ი. | „ | მე-5 | IX | თვითმავალ გემების მოქმედ მოდელებში |

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
როს კოლეგიის 1965 წლის
18 დეკემბრის დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**ნორჩ გემთმოდელისტთა მე-3 რესპუბლიკური პირად-გუნდური
შეჯიბრების ჩატარების შესახებ**

I. შეჯიბრების ჩატარების მიზანია:

1. ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში გემთმოდელიზმში ჩატარებული მუშაობის შეჯამება;
- ბ) რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის გემთმოდელიზმის პოპულარიზაცია და მისი შემდგომი განვითარება;
- გ) გემთსამოდელო წრეების ქსელის გაშლა და მათში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა;
- დ) ნაკრები გუნდის დაკომპლექტება ნორჩ გემთმოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

II. შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

2. საზღვაო მოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1966 წლის 27 ივნისიდან 30 ივნისამდე ჩათვლით ქ. თბილისში.

III. შეჯიბრების ორგანიზაცია

3. შეჯიბრების მომზადებისა და საერთო ორგანიზაციისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის, დოსააფის რეს-

პუბლიკური კომიტეტისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

4. შეჯიბრების ჩატარება ეკისრება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ შეჯიბრების უფროსს და მსაჯთა კოლეგიას.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეჯიბრების ჩასატარებლად იქმნება ადგილობრივი ხელშემწყობი კომიტეტები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი განათლების ორგანოები კომპაგვირულ ორგანიზაციებსა და დოსააფის კომიტეტებთან ერთად.

6. ხელშემწყობი კომიტეტები 1966 წლის 25 მაისამდე ატარებენ გემთმოდელისტთა ადგილობრივ შეჯიბრებებს და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად აკომპლექტებენ ნაკრებ გუნდებს.

IV. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გათამაშდება

- ა) გუნდური პირველობის გარდამავალი თასი;
- ბ) საქართველოს ჩემპიონის წოდება საზღვაო მოდელიზმში, 1966 წლისათვის დებულების V პუნქტში ნაჩვენებ მოდელების ყველა კლასს შორის, მოდელების კონსტრუქციების დამზადებისა და გაშვების ურთიერთგამოცდილებათა ვაზიარების მიზნით შეჯიბრების ბოლოს ჩატარდება მონაწილეთა კონფერენცია.

V. შეჯიბრების მონაწილენი

7. საზღვაო მოდელისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე დაიშვებიან საქართველოს სსრ რვაწლიანი და საშუალო სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები.

8. თითოეული გუნდი კომპლექტდება 5 მოსწავლისაგან. გუნდში შედიან გემთმოდელისტები შემდეგი მოდელებით:

- ა. ნაღმოსნის ან სატვირთო სამგზავრო და დამხმარე გემის მოდელი 1 ცალი
- ბ. წყალქვეშა ნავის მოდელი რეზინის ძრავით 1 ცალი
- გ. გლისერის მოდელი 2,5 კუბ. სმ მოცულობის ძრავით 1 ცალი
- დ. გლისერის მოდელი საჰაერო ხრახნით 2,5 კუბ. სმ მოცულობის ძრავით 1 ცალი

ე. რადიოთი სამართავი გემის მოდელი
გუნდს ახლავს ხელმძღვანელი ასაკით არანაკლებ
18 წლისა.

9. შეჯიბრებაზე დაიშვება აგრეთვე არასრულად დაკომპლექ-
ტებული გუნდიც.

VI. შეჯიბრების მონაწილეთა მივლინება და მათი უზრუნველყოფა

10. ყოველმა გუნდმა არაუგვიანეს 1966 წლის 15 ივნისისა
რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უნდა წარუდგინოს შე-
ჯიბრებაში მონაწილეთა განაცხადი შემდეგი მისამართით: ქ. თბი-
ლისი, აკ. წერეთლის პრ. № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური
სადგური.

11. გემთმოდელისტთა გუნდები შეჯიბრების ადგილზე, თბი-
ლისში, ცხადდებიან მხოლოდ საორგანიზაციო კომიტეტის გამო-
ძახებით.

12. გზის ხარჯებს შეჯიბრების ადგილამდე და უკან დაბ-
რუნებისათვის გაიღებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

13. შეჯიბრების პერიოდში ყველა მონაწილე, მსაჯები და
მომსახურე პერსონალი, უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო კვებითა
და საერთო საცხოვრებლით.

14. გუნდის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები:

ა) გუნდის ყველა წევრზე ცალ-ცალკე მოსწავლის კლასიდან
კლასში გადაყვანის შესახებ ცნობა;

ბ) გუნდის წევრთა სია შემოწმებული მომვლინებელი ორგა-
ნიზაციის მიერ;

გ) გუნდის ყველა წევრზე ექიმის ცნობა ჯანმრთელობის
მდგომარეობის შესახებ;

დ) მივლინების ფურცელი;

ე) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გამოძახების
ასლი.

VII. დაჯილდოება

15. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივები
ჯილდოვდებიან:



ა) გუნდი, რომელიც დაიკავებს 1-ლ ადგილს—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თასით და 1-ლი ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები—1-ლი ხარისხის დიპლომებით;

ბ) გუნდი, რომელიც დაიკავებს მე-2 ადგილს—ვიმპელითა და მე-2 ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები—მე-2 ხარისხის დიპლომებით;

გ) გუნდი, რომელიც დაიკავებს მე-3 ადგილს და გუნდის წევრები—მესამე ხარისხის დიპლომებით.

16. მოსწავლე—საზღვაო მოდელისტები, რომლებიც მოდელის კლასის მიხედვით დაიკავებენ 1-ლ ადგილებს, ჯილდოვდებიან 1-ლი ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით; მათ მიენიჭებათ აგრეთვე საზღვაო მოდელიზმში 1966 წლის ჩემპიონის წოდება.

გემთმოდელისტები, რომლებიც დაიკავებენ მე-2 ადგილებს, ჯილდოვდებიან მე-2 ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

გემთმოდელისტები, რომლებიც დაიკავებენ მე-3 ადგილებს, ჯილდოვდებიან მე-3 ხარისხის დიპლომებით.

გემთმოდელისტები, რომლებიც შეასრულებენ III, II, I თანრიგის ნორმებს, მიენიჭებათ შესაბამისი თანრიგები გემთმოდელიზმში.

VIII. მოდელისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები

17. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი ყველა მოდელი უნდა შეესაბამებოდეს „სსრკ გემთსამოდელო სპორტში შეჯიბრების ჩატარების წესების“ ტექნიკურ მოთხოვნებს.

IX. შეჯიბრების ჩატარების პირობები

18. მოსწავლე-გემთმოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდება „სსრკ საზღვაო-სამოდელო სპორტში შეჯიბრების ჩატარების წესების“ მიხედვით.

X. გემთმოდელის შეფასება

19. შეჯიბრებაზე წარმოდგენილი ყველა მოდელი შეფასდება „სსრკ საზღვაო-სამოდელო სპორტში შეჯიბრების ჩატარების წესების“ მოთხოვნათა მიხედვით.

შენიშვნა: გუნდური პირველობა განისაზღვრება თითოეული მონა-
წილის მიერ პირად პირველობაში შეგროვილი ქულების
ჯამის მიხედვით.

გუნდი, რომელიც მოაგროვებს ქულების მაქსიმალურ რაოდენობას, ჩაითვლება გამარჯვებულად.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
კოლეგიის 1965 წლის 18 დეკემბრის
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნორჩ ავიაგოდელისტთა პირადგუნდური XXXV რესპუბლიკური ლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ

I. ნორჩ ავიაგოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების მიზანია:

1. ა) სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ავიაგოდელიზმში ჩატარებული მუშაობის შეჯამება;
- ბ) რესპუბლიკის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა შორის საავიაციო მოდელიზმის პოპულარიზაცია და მისი შემდგომი განვითარება;
- გ) ავიასამოდელო წრეების ქსელის გაშლა და მათში მოსწავლეთა ფართო მასების ჩაბმა;
- დ) ნორჩ ავიაგოდელისტთა გუნდის დაკომპლექტება მოსწავლე-ავიაგოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის.

II. შეჯიბრების ჩატარების დრო და ადგილი

2. ავიაგოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება ტარდება 1966 წლის 6-დან 10 ივლისამდე ქ. თბილისსა და ბოლნისში.

III. შეჯიბრების ორგანიზაცია

3. შეჯიბრების მომზადებისა და ჩატარებისათვის იქმნება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქ. ალკკ ცენტ-



რალური კომიტეტის, დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტისა და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებათა წარმომადგენლები.

4. შეჯიბრების ჩატარება ეკისრება რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ შეჯიბრების უფროსს და მსაჯთა კოლეგიას.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში შეჯიბრების ჩასატარებლად იქმნება ადგილობრივი ხელშემწყობი კომიტეტები, რომელთა შემადგენლობას ამტკიცებს შესაბამისი სახალხო განათლების ორგანოები კომკავშირული ორგანიზაციებისა და დოსაფის კომიტეტებთან ერთად.

6. ხელშემწყობი კომიტეტები 1966 წლის 25 მაისამდე ადგილებზე ატარებენ ავიამოდელისტთა შეჯიბრებებს და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად აკომპლექტებენ სათანადოდ მომზადებულ გუნდებს.

IV. შეჯიბრების მონაწილეები

7. ავიამოდელისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე დაიშვებიან საქართველოს სსრ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მოსწავლეები.

8. თითოეული გუნდო კომპლექტდება 9 მოსწავლისაგან. გუნდში შედიან ავიამოდელისტები შემდეგი მოდელებით:

- ა) 1 კაცი—პლანერის 1—2 მოდელებით;
- ბ) 1 კაცი—1—2 რეზინძრავიანი მოდელებით;
- გ) 1 კაცი—1—2 ტაიმერიანი მოდელებით;
- დ) 1 კაცი—ერთგანკარგულებიანი, რადიოთი სამართავი პლანერით ან თვითმფრინავის მოდელებით;
- ე) 1 კაცი—1—2 ექსპერიმენტული მოდელებით;
- ვ) 1 კაცი—თვითმფრინავის 1—2 კორდული მოდელებით;
- ზ) 1 კაცი—რაკეტის 1—2 მოდელებით;
- თ) 1 კაცი—გუნდის ხელმძღვანელი (ასაკით არანაკლებ 18 წლისა) უმოდელოდ;
- ი) 1 კაცი—„საპაერო ბრძოლის“ მოქმედი მოდელებით.

V. რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გათამაშდება

9. ა) გუნდური პირველობის გარდამავალი თასი;



ბ) საქართველოს 1966 წლის ჩემპიონის წოდება ავიამოდელიზმში დებულების მე-4 მუხლში ნაჩვენებ მოდელების ყველა ნახეობაში.

VI. შეჯიბრების მონაწილეთა მივლინება და მათი უზრუნველყოფა

10. თითოეულმა გუნდმა, არაუგვიანეს 1966 წ. 12 ივნისისა, რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უნდა წარმოუდგინოს განაცხადი შეჯიბრებაში მონაწილეობის შესახებ. განაცხადი უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ.თბილისი, წერეთლის პრ. № 1, ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგური.

11. რაიონიდან (ქალაქიდან) მოვლინებული ავიამოდელისტთა გუნდი შეჯიბრების ადგილზე ცხადდება მხოლოდ რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გამოძახებით.

12. გზის ხარჯებს, შეჯიბრების ადგილამდე და უკან დაბრუნებისათვის, გაიღებს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი.

13. შეჯიბრების პერიოდში ყველა მონაწილე, მსაჯები და მომსახურე პერსონალი, უზრუნველყოფილი იქნებიან კვებითა და საერთო საცხოვრებლით. აგრეთვე მსაჯებსა და მომსახურე პერსონალს მიეცემათ ხელფასი სამსახურის ადგილზე თვიური გამომუშავების ანგარიშის მიხედვით.

14. გუნდის ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს შემდეგი საბუთები:

- ა) გუნდის ყველა წევრზე (ცალ-ცალკე) მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ ცნობა;
- ბ) გუნდის წევრთა სია შემოწმებული მომვლინებელი ორგანიზაციის მიერ;
- გ) ცნობა ჯანმრთელობის შესახებ გუნდის ყველა წევრზე;
- დ) მივლინების ფურცელი;
- ე) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის გამოძახების ასლი.

V I I. დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ ა

15. რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივები ჯილდოვდებიან:

- ა) გუნდი, რომელიც დაიკავეს პირველ ადგილს დაჯილდოვდება, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გარდამავა-



ლი თასით და I ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები პირველი ხარისხის დიპლომებით;

ბ) გუნდი, რომელიც დაიკავებს მე-2 ადგილს—ვიმპელითა და მეორე ხარისხის დიპლომით, ხოლო გუნდის წევრები—მეორე ხარისხის დიპლომებით;

გ) გუნდი, რომელიც დაიკავებს მე-3 ადგილს და გუნდის წევრები—მესამე ხარისხის დიპლომებით.

16. მოსწავლე-ავიამოდელისტები, რომლებიც მოდელების კლასების მიხედვით დაიკავებენ პირველ ადგილებს, ჯილდოვდებიან პირველი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით; მათ მიენიჭებათ აგრეთვე 1966 წლის ჩემპიონის წოდება ავიასამოდელო სპორტში.

ავიამოდელისტები, რომლებიც დაიკავებენ მეორე ადგილებს, ჯილდოვდებიან მეორე ხარისხის დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით;

ავიამოდელისტები, რომლებიც დაიკავებენ მესამე ადგილებს, ჯილდოვდებიან მესამე ხარისხის დიპლომებით.

VIII. მოდელებისადმი წაყენებული ტექნიკური მოთხოვნები

17. პლანერები, რეზინძრავიანი, ტაიმერიანი და თვითმფრინავების კორდული ასლმოდელები, აგრეთვე „საპაერო ბრძოლისა“ და რადიოთისამართავი თვითმფრინავის მოდელი ან პლანერი უნდა შეესაბამებოდეს „სსრკ ავიასამოდელო სპორტში შეჯიბრების ჩატარების წესების“ ტექნიკურ მოთხოვნებს.

18. რაკეტის მოდელები უნდა იყოს ერთსაფეხურიანი, მყარ საწვავზე მომუშავე ძრავებით. მოდელის წონა არ უნდა აღემატებოდეს 150 გრამს. მოდელის კორპუსი და ძრავა არ უნდა იყოს ლითონის (დასაშვებია, რომ მხოლოდ ძრავის ძირი იყოს ლითონის). ძრავა უნდა წააგავდეს მუყაოს ვაზნას. რაკეტის მიწაზე დაშვება აუცილებლად უნდა ხორციელდებოდეს მაპარაშუტებელი მოწყობილობით.

19. ექსპერიმენტულ მოდელს უნდა ჰქონდეს წონა არა უმეტესი 5 კგ-ისა, ფრთის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს 5 მ, ხოლო საერთო გამტანი ფართობი—150 დც².

ექსპერიმენტულ მოდელებს მიეკუთვნება: თავისუფალმფრენი მოდელები, ვერტიმფრინავი, ავტოჰირი, „მფრინავი ფრთის“ და „იხვის“

ტიპის მოდელები; მრავალძრავიანი მოდელები ხრახნძრავიანი ჯგუფიდან, რომელთა ძრავებიც განლაგებულია ფუხელაჟის შიგნით, „იალქნის“ ტიპის (სტაბილიზატორის გარეშე), მქნევარა ფრთებიანი მოდელი და მოდელი რაკეტის ძრავით.

IX. შეჯიბრების ჩატარების პირობები

20. მოსწავლე-ავიამოდელისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება ჩატარდება „სსრ კავშირის ავიასამოდელო სპორტში შეჯიბრების ჩატარების წესების“ სრული დაცვით (1965 წლის ცვლილებების გათვალისწინებით).

21. რაკეტის მოდელი შემოწმდება ფრენის ხანგრძლიობაზე 3-ჯერ გაშვებით. თითოეული გაშვების მაქსიმალური ფრენის ქრონომეტრული დრო 3 წუთია (180 წამი).

ყოველ მონაწილეს თითოეულ გაშვებაზე ეძლევა ორი ცდის უფლება. ცდის უფლება მიეცემა იმ შემთხვევაში:

ა) თუ რაკეტის მოდელი არ აფრინდა ელექტროგამშვები მოწყობილობის ჩართვიდან 30 წამის განმავლობაში;

ბ) თუ მოდელი აფეთქდა და დაიწვა გამშვებ მოწყობილობაზე;

გ) თუ რაკეტის მოდელის ფრენა გაგრძელდება 10 წამზე ნაკლებ დროს;

დ) თუ რაკეტა დაეშვა მაპარაშუტებელი მოწყობილობის გარეშე.

22. ექსპერიმენტული მოდელები შეფასდებიან მოდელის ფრენის ხანგრძლიობაზე.

ყოველ მონაწილეს ეძლევა უფლება ჩატაროს ხუთი ჩასათვლელი გაშვება; თითოეულ გაშვებაში ჩათვლება მაქსიმუმი 180 ქულა.

ყოველ გაფრენაზე მონაწილეს ორი ცდის ჩატარების უფლება აქვს. ცდად ჩაითვლება ფრენა არანაკლებ 20 წამისა.

ვერტემფრინავის, ავტოფრინის, „მფრინავი ფრთის“ ტიპისა და მრავალძრავიან მოდელებს, აგრეთვე „იხვის“ და „იალქნის“ ტიპის მოდელებს და ფუხელაჟში მოთავსებულ ხრახნძრავიან ჯგუფის მოდელებს, დაერიცხება ერთი ქულა მოდელის ფრენის ყოველ წამზე. ქნევარა ფრთებიანი მოდელებს და რაკეტულ ძრავაზე მომუშავე მოდელებს ფრენის თითოეულ წამზე დაერიცხებათ 3—3 ქულა. მოდელზე დაყენებული მექანიკური ძრავის მუშაობის ხანგრძლიობა არ უნდა აღემატებოდეს 60 წამს.



23. რადიოთი სამართავმა მოდელმა სამჯერ უნდა იფრინოს 5—5 წუთი და მიწაზე დაეშვას 100 მ დიამეტრის წრეში. მოდელის ფრენის თითოეულ წამზე დაერიცხება ერთი ქულა. თუ დაშვების დროს მოდელი მიწას წრის გარეთ შეეხო, მას დაერიცხება 0 ქულა.

24. გუნდური პირველობა განისაზღვრება გათამაშებაში მონაწილე გუნდის რვა წევრის მიერ ჰირად პირველობაში შეგროვილი ქულების ჯამით. გუნდი, რომელიც მოაგროვებს ქულების მაქსიმალურ რაოდენობას, ჩაიფვლება გამარჯვებულად.

ПРИКАЗ № 1373 ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ
ГРУЗИНСКОЙ ССР от 25-го ДЕКАБРЯ 1965 ГОДА

об итогах XXXIV Республиканских соревнований юных авиамоделистов, II Республиканских соревнований юных судомоделлистов и о проведении XXXV Республиканских соревнований юных авиамоделистов и III Республиканских соревнований юных судомоделлистов

Отмечаю, что в последнее время среди учащейся молодежи Республики большое распространение получило увлечение авиамоделизмом и судомоделизмом. Республиканские соревнования, проведенные за последние годы и участие школьных команд Грузии во Всесоюзных соревнованиях по этим видам спорта, показали тот большой интерес и стремление, которые проявляет наша молодежь к этому делу.

Особенно оживилась работа во многих школах и внешкольных детских учреждениях Республики в ходе подготовки к III спартакиаде по техническим видам спорта.

В кружках юных авиамоделистов и юных судомоделлистов школ и внешкольных детских учреждений сотни пионеров и школьников, наряду с изучением теоретических вопросов, практически строят действующие модели различных видов самолетов и судов.

В XXXIV лично-командных Республиканских соревнованиях юных авиамоделистов, которые проходили с 6-го по 10-ое июля 1965 года, участвовало 15 команд, в составе 140 учащихся (в прошлом году участвовало 12 команд, в составе 117 учащихся), а во II Республиканских соревнованиях юных судомоделлистов принял участие 61 учащийся разных городов и районов Республики (в прошлом году участвовало 14 учащихся).



Проведенные соревнования показали, что уровень знаний юных авиамоделлистов и судомоделлистов намного повысился по сравнению с предыдущими соревнованиями.

Модели, представленные учащимися на соревнования, отличались высокими эстетическими, ходовыми и летными данными. Благодаря этому на высоком спортивном уровне прошли означенные соревнования, на которых было выявлено много способных авиамоделлистов и судомоделлистов, работы которых заслужили высокую оценку.

На соревнованиях юных авиамоделлистов норму кандидата в мастера спорта выполнил ученик VIII класса 119-ой средней школы Юрий Абраменков. Учащиеся г. Тбилиси Ираклий Мелкуа, Игорь Капчинский, Нугзар Циклаури, Александр Гонгин, учащийся мерийской средней школы Махарадзевского района Александр Тенейшвили и др. выполнили нормы I и II спортивного разряда.

Экспериментальная модель, изготовленная учащимися VIII класса 2-ой средней школы гор. Тбилиси Виктором Наркевичем, установила Республиканский рекорд. Эта модель продержалась в воздухе 6 минут 48 секунд.

На означенных соревнованиях учащиеся выступали также с моделями ракетного класса. Модель, изготовленная учащимся X класса 39-ой средней школы г. Тбилиси Робертом Манашеровым, показала рекордное время среди моделей этого класса—ее рекорд превзошел результаты Всесоюзных соревнований. В результате соревнований общекомандное 1-ое место завоевала команда Центральной станции юных техников (руководитель Р. Шматков), 2-ое место—команда Дворца пионеров и школьников им. Б. Дзедзедзе (руководитель Б. Жуйков), а 3-е место—команда 83-ей средней школы г. Тбилиси (руководитель О. Семенов).

Во II Республиканских соревнованиях юных судомоделлистов впервые в нашей действительности участвовали действующие модели судов, управляемых по радио, которые на расстоянии могли выполнять 4 команды.

Среди действующих моделей этого типа Республиканский рекорд установила ученица IV класса 20-ой средней школы г. Тбилиси Алла Нуцубидзе. Хорошие ходовые результаты показала действующая модель самоходного буксира, изготовленная учеником X класса 64-ой средней школы гор. Тбилиси Арчилом Майсурадзе. В индивидуальных соревнованиях Республиканский рекорд установила действующая модель подводной лодки, изготовленная учеником V класса 10-ой средней школы гор. Батуми Анатолием Морозовым.

Большинство моделей, представленных на соревнования судомodelистов, показало, что пионеры и школьники имеют удовлетворительную подготовку в деле расчета и изготовления моделей морских и речных судов.

Эти модели отличались своеобразной оригинальностью и внешним оформлением. Большая часть действующих моделей, представленных на II Республиканские соревнования юных судомodelистов, отвечала требованиям, предусмотренным положением.

На означенных соревнованиях командное первое место завоевал морской клуб Республиканского комитета ДОСААФ (руководитель Т. Латария), второе место — команда Центральной станции юных техников (руководитель М. Цалкаламанидзе), третье же место — команда областной станции юных техников Аджарской АССР (руководитель В. Морозов).

სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ბიოლოგიაში წალენჯიხის II (მასწავლებელი ლ. ზარქუა) საშუალო სკოლაში, შესწავლილ სკოლებში ბიოლოგია ისწავლება თვალსაჩინოების გარეშე, არც ერთ სკოლაში არ არის ცალკე გამოყოფილი ბიოლოგიის კაბინეტი; სკოლები ღარიბია ბიოლოგიისათვის საჭირო სათვალსაჩინო მასალებით.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ინგლისური ენა ხობის რაიონის ხეთის საშუალო სკოლაში. მასწავლებელი მ. ქირია მოუმზადებლად ატარებს ვაკვეთილებს, მოსწავლეებმა გრამატიკული მასალის სრული უცოდინარობა გამოიჩინეს. ხობის 1-ლი საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელმა ნ. გოგინავამ არ იცის საგანი. მოსწავლეთა წერიტი და ზეპირი მეტყველების კულტურა დაბალია. შესწავლილ ყველა სკოლაში უცხო ენის სწავლება თვალსაჩინოების გარეშე წარმოებს.

მიმდინარე სასწავლო წელს წალენჯიხის რაიონის სკოლებს არ შეუხსრულებია სწავლებაში ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმის გეგმა, ნაცვლად 7956 მოსწავლისა სკოლებში სწავლობს 7618 მოსწავლე, ანუ 338 მოსწავლით ნაკლები.

შესწავლილ სკოლებში სუსტადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა; მასწავლებლები არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წლის 20 ივნისის № 422 ბრძანებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მეთოდური მუშაობის შესახებ. ნაკლებად წარმოებს მოწინავე გამოცდილების განზოგადება.

სკოლებში გაკვეთილის ცხრილის შედგენისას არ იცავენ პედაგოგიურსა და მეთოდურ მოთხოვნებს; ცხრილში საგნების სიძნელეთა მიხედვით დღეები თანაბრად არ არის დატვირთული, ადგილი აქვს გაკვეთილების გაწყვილების შემთხვევებს.

ნაკლოვანებებს აქვს ადგილი საშუალო განათლების ატესტატებისა და რვაკლასის დამთავრების მოწმობების გაცემის საქმეში. ხობის 1-ლ საშუალო სკოლაში გაუცემელია და კარადაში ინახება 7 ცალი საშუალო განათლების ატესტატი და 22 ცალი რვაკლასის დამთავრების მოწმობა, ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ხობის რაიონის ბიის, ჭალადიდისა და წალენჯიხის რაიონის საჩინოს საშუალო სკოლებში.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობისადმი. არარეგულარულად იწვევა პედსაბჭოს სხდომები წალენჯიხის რაიონის საჩინოს (დირექტორი მ. მესხია) და ობუჯის დირექტორის მოადგილე სასწავლო ნაწილის დარგში გ. მებონია) საშუალო სკოლებში პედსაბჭოს სხდომებზე ცალკეული საგნების სწავლება არადაამაკმაყოფილებლადაა გაანალიზებული. ამ სკოლის ხელმძღვანელებს მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები და ანალიზებიც ზერელეა. შესწავლილ სკოლებში ყურადღება არ ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოებას; მიმდინარე შეფასების ნიშნები წერასა და ზეპირში ყოველთვის არ შეაქვთ ჟურნალებში. სკოლები არ არის უზრუნველყოფილი მოსწავლეთა დღიურებით და ზოგიერთ საგანში სახელმძღვანელოებით.

ხობის (გამგე შ. ხარებავა) და წალენჯიხის (გამგე ვ. ბელქანია) რაიონების განათლების განყოფილებები პედაგოგიურ კაბინეტებთან ერთად ამოწმებენ სკოლების მუშაობას, შედეგებს ისმენენ განათლების საბჭოს აღმასკომისა და რაიკომის ბიუროს სხდომებზე, მაგრამ სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მიცემულ მითითებათა შესრულების შემოწმებას და ბევრი ნაკლოვანება გამოუსწორებელი რჩება.



1. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად დაესწრონ მათ ვაკვეთილებს და საფუძვლიანად გააანალიზონ მოსმენილი ვაკვეთილები;

ბ) გააუმჯობესონ წერითი მუშაობის ხარისხი, ავარჯიშონ მოსწავლეები შეცდომების გასწორებაზე და არ დაუშვან წერის ნორმების შეუსრულებლობა;

გ) სასწავლო კაბინეტი შეავსონ ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით. ყველა სკოლაში, სადაც ეს არ არის, ცალკე მოაწყონ ბიოლოგიის, ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები და შექმნან საჭირო პირობები სწავლების პროცესში თვალსაჩინოების გამოყენებისათვის;

დ) ვაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნილებათა ზუსტად დაცვით;

ე) საჭირო კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განუხრელად გატარებაზე, მიიღონ გადამჭრელი ზომები სკოლის გარეთ დარჩენილ სასკოლო ასაკის ბავშვთა სწავლებაში ჩაბმისათვის, არ დაუშვან სკოლიდან მოსწავლეთა განთესვა;

ვ) გარდაქმნან და გააუმჯობესონ მეთოდური მუშაობა სკოლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 20 ივლისის № 422 ბრძანების შესაბამისად;

ზ) რეგულარულად მოიწვიონ პედაგოგიური საბჭოს სხდომები და სასწავლო მეოთხედის ბოლოს მოახდინონ მეოთხედის განმავლობაში ჩატარებული მუშაობის ღრმა განხილვა, გამოავლინონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი მათ სალიკვიდაციოდ;

თ) დაწყებითი კლასების, ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ფიზიკისა და ბიოლოგიის მასწავლებელთა მუშაობა გარდაქმნან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ამ საგნების სწავლების შესახებ არსებულ მითითებათა საფუძველზე.

2. წალენჯიხის რაიონის საჩინოს საშუალო სკოლის დირექტორს ბ. მესხიას სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს საყვედური და გაფრთხილებულ

იქნეს, თუ არსებითად არ გამოასწორებს მუშაობას, იგი განთავს
სუფლებულ იქნება დაკავებული თანამდებობიდან.

ამავე სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში
ამხ. ე. კვიციანი და ობუჯის საშუალო სკოლის დირექტორის
მოადგილეს სასწავლო დარგში ამხ. ვ. შებონიას არადამაკმაყოფი-
ლებელი მუშაობისათვის გამოეცხადოს საყვედური.

3. ხობისა და წალენჯიხის განათლების განყოფილებათა გამ-
გეებმა შ. ხარებავამ და ვ. ბელქანიამ:

ა) განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ ბრძანებაში აღ-
ნიშნული სუსტად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობაზე და იმ
შემთხვევაში, თუ ისინი უმოკლეს დროში არ გამოასწორებენ მუ-
შაობას, სათანადო წესით დასვან საკითხი მათი სამუშაოდან გან-
თავისუფლების შესახებ;

ბ) გააძლიერონ სკოლებისადმი ხელმძღვანელობა. განახორ-
ციელონ ქმედითი ღონისძიებანი სკოლებში სასწავლო-აღმზრდელო-
ბითი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

გ) მტკიცე კონტროლი დააწესონ საყოველთაო-სავალდებულო
განათლების კანონის განხორციელებაზე, არ დაუშვან სკოლებში
ჩასაბმელი მოსწავლეების სკოლის გარეთ დატოვება და უზრუნველ-
ყონ მოსწავლეთა მთლიანად შენარჩუნება რვაწლიანი სკოლის
ფარგლებში;

დ) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ყველა სკოლის პედსაბ-
ქოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.
31 დეკემბრის ბრძანება № 1412

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობა ხათვის დაჯილდოვდნენ სამკერდე ნიშნით— „სახალხო განათლების წარჩინებული“ შემდეგი მუშაკები:

1. შელია ლენა ბათლომეს ასული—ზუგდიდის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
2. კალანდია ნარგიზა ალექსანდრეს ასული—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
3. ჯაბუა თინა ვალერიანის ასული—ინგიურის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
4. ხუჭუა ლამარა ალექსანდრეს ასული—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის მუსიკის მასწავლებელი;
5. ცანავა აკაკი ალექსანდრეს ძე—ინგიურის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელი;
6. ჭანტურია იმედა ნიკოლოზის ასული—ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი;
7. ახვლედიანი ვლადიმერი ელიზბარის ძე—გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
8. კვარაცხელია ემელიანე ივანეს ძე—გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
9. როსტომაშვილი ეთერი გიორგის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი;

10. სვანიძე ზინაიდა ვარლამის ასული — ახალციხის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის დარგში;

11. ლოლაშვილი ელგუჯა სოლომონის ძე — ყვარლის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

12. ავაზაშვილი ნიკოლოზ გაბრიელის ძე — ყვარლის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის დარგში;

13. შავლაძე ნიკოლოზ მინას ძე — სამტრედიის რაიონის ეწერის საბავშვო სახლის დირექტორი;

14. მათეშვილი გიორგი ივანეს ძე — სიღნაღის რაიონის ზემო ბოდბის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

15. ნადირაძე ნინო სავენტის ასული — სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

16. მიასნიკოვი ალექსანდრე კარპეს ძე — ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის დარგში;

17. ვაჩნაძე ანა დავითის ასული — ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმწერდელი;

18. გაბუნია კლარა ვიქტორის ასული — გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის გეოგრაფიის მასწავლებელი.

19. დაბრუნდაშვილი ნორა იოსების ასული — კოჯრის № 5 საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის დარგში.

20. ჯიქიძე ჯონდო პოლიკარპეს ძე — კოჯრის № 3 საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმწერდელი მუშაობის დარგში.

21. შიპაქციანი გერუჟან პერენიკოვის ძე — ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;

22. გასპარიანი სილვა ვართანის ასული — ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის აღმწერდელი;

23. ჯერპეტციანი სატიკ აკოფის ასული — ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის აღმწერდელი;

24. ვართანიანი ვართა ვართანის ძე — ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;

25. ჭკუასელი ლოლა პორფილეს ასული—ვაშლოვანის საბავშვო სახლის აღმზრდელი.

ხაფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 28 დეკემბრი სდადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

დადგენილება

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1965 წლის 28 დეკემბერი

სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით შემდეგი მუშაკები:

1. ბალათურია ხუტა ელიზბარის ძე—ინგირის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
2. ჯინჯოლავა ვალერი ნიკოლოზის ძე—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
3. ჭითანავა ამბაკო ძეგვეს ძე—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
4. აკობია სერგო ტარასის ძე—ზუგდიდის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში;
5. ედიგაროვი ირა ჭიჭიკოს ასული—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
6. შალამბერიძე ნათელა შალვას ასული—ზუგდიდის № 1 სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
7. ბაკურაძე აკაკი მალაქიას ძე—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი;
8. ქადარია ლეილა ერასტის ასული—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის გერმანული ენის მასწავლებელი;

9. ქებურია ლამარა ვალოდიას ასული—ზუგდიდის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
10. ახალაია როზეტა აკაკის ასული—ინგირის სკოლა-ინტერნატის უფროსი აღმზრდელი;
11. ჭკადუა ეტრფი ივანეს ასული—ზუგდიდის № 1 სკოლა-ინტერნატის ცეცხლფარეში;
12. ქირია შოთა იპოლიტეს ძე—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის სადურგლო ბრიგადის ხელმძღვანელი;
13. ჯაბუა კლიმენტი იოსების ძე—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის ხელოსანი;
14. ტაიხერი მარია პავლეს ასული—ინგირის სკოლა-ინტერნატის დამლაგებელი;
15. ჯინჯოლავა ბორის ნიკოლოზის ძე—ზუგდიდის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს ინჟინერი;
16. გუბელაძე მამია პიმენის ძე—ახალსოფლის ლენინის სახ. კოლმეურნეობის კოლმეურნე;
17. აფხაზავა სევერიანე იოსების ძე—ინგირის კოლმეურნეობის კოლმეურნე;
18. არველაძე შოთა ილიას ძე—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
19. ძამაშვილი დამა ილიას ასული—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის ადგილკომის თავმჯდომარე;
20. ყარაგვეზაშვილი მიხეილ სერგოს ძე—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
21. ახვლედიანი ევგენია გიორგის ასული—ახალციხის № 1 სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
22. შიუკაშვილი დალი ალექსანდრეს ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
23. ჩჩელიძე თამარ რევაზის ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
24. ყუშიტაშვილი რუსუდან შალვას ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
25. გაგანაშვილი ტასო ლონგინოზის ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
26. ტერტერაშვილი დალი ივანეს ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;



27. ბაკურაძე ელენე ისიდორეს ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
28. დავიდოვი მაყვალა დავითის ასული—ახმეტის სკოლა-ინტერნატის ექიმის თანაშემწე;
29. წერეთელი აკაკი ბარნაბის ძე—გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
30. წირღვავა არჩილ პლატონის ძე—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
31. ვაწაძე ზინაიდა დარისპანის ასული—კოჯრის № 2 საბავშვო სახლის დირექტორი;
32. ნარიშანიძე მაშო მიტოს ასული კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დირექტორი;
33. ზერებოვა მარიამ პავლეს ასული—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის დამლაგებელი;
34. ლაშვი მადლენა ივანეს ასული—გლდანის № 1 სკოლა-ინტერნატის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი;
35. რატიანი ოთარ ბაგრატიის ძე—კოჯრის სკოლა-ინტერნატის შრომის მასწავლებელი;
36. ნესტეროვი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე—კოჯრის სკოლა-ინტერნატის შრომის მასწავლებელი;
37. ნადიროვი ალექსანდრე ბაგირის ძე—კოჯრის № 5 საბავშვო სახლის პიონერხელმძღვანელი;
38. ხოხლინა გალინა გრიგოლის ასული—კოჯრის სკოლა-ინტერნატის პიონერხელმძღვანელი;
39. საგანელიძე აკაკი ანდრიაის ძე—გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
40. ლოთეშვილი შოთა გაბრიელის ძე—ატენის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე;
41. ლოთეშვილი თამარ გაბრიელის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
42. პავლიაშვილი ელენე პეტრეს ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი;
43. კობიძე ლალი ესეს ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;
44. თათხაშვილი თამარ ალექსანდრეს ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის ექთან;

45. ჩახნაშვილი ქეთევან მიხეილის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
46. მიხანაშვილი მერი მიხეილის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის ბიოლოგიის მასწავლებელი;
47. პაპიტაშვილი ეთერ გიორგის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;
48. ბატიკაშვილი შოთა გიორგის ძე ატენის სკოლა-ინტერნატის ისტორიის მასწავლებელი;
49. ტლაშაძე ციალა რომანის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
50. ვანიაშვილი იოსებ იოსების ძე—ატენის სკოლა-ინტერნატის ოსტატი;
51. ფოცხვერაშვილი ვიქტორ ბაგრატის ძე—ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
52. აბაშიძე ლევან ლევანის ძე—ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
53. მალრადე ვახტანგი სერგოს ძე—ახალციხის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში;
54. ბეჟანიშვილი ალექსანდრე გიორგის ძე—კასპის რაიონის განათლების განყოფილების გამგე;
55. ალექსიძე ვახტანგ მიხეილის ძე—კასპის სკოლა ინტერნატის დირექტორი;
56. ხომერიკი ნინო ონისიმეს ასული—კასპის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
57. გოზალიშვილი ეთერ საბას ასული—ყვარლის სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი.
58. საგინაძე ბელა დიმიტრის ასული—ყვარლის სკოლა ინტერნატის დაწყებითი კლასის მასწავლებელი;
59. როსტომიშვილი ნინო სანდროს ასული—ყვარლის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
60. ინჭკირველი შურა სიმონის ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
61. დოლიძე თალიკო ბენიამინის ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;

62. კვერენჩილაძე ნაზი ზუბალოს ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
63. მჟავანაძე ლუბა ნესტორის ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
64. აბაშმაძე ლამარა ალექსანდრეს ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
65. ოთხმეზური ნანული ვლადიმერის ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
66. თოიძე თამარ გიორგის ასული—მახარაძის სკოლა-ინტერნატის ბუღალტერი;
67. მელქაძე მიხეილ ივანეს ძე—სამტრედიის რაიონის სოფ. ეწრის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
68. კიკალეიშვილი გიორგი კალისტრატეს ძე—ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სალიანდაგო დისტანციის უფროსი;
69. მირიანაშვილი იზა გიორგის ასული—სიღნაღის რაიონის ზემობოდბის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
70. ბეროშვილი თამარ გიორგის ასული—ზემობოდბის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
71. თევზაძე ლამარა ვლადიმერის ასული—ზემობოდბის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
72. ნადირაძე პავლე ვასილის ძე—სიღნაღის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
73. ბახტურიძე ელენე გიორგის ასული—სიღნაღის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
74. დორაშვილი ლილი ვლადიმერის ასული—სიღნაღის დამხმარე სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
75. ძამუკაშვილი საქულა ივანეს ძე—თელავის რაიონის სოფ. ვარდისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
76. ხუნწარია ლუბა ერასტის ასული—თელავის სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
77. ქათამაძე მიხეილ ონისიმეს ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის ხელოსანი;
78. ჩვამანია მინდიკო ილიას ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის დამხმარე მეურნეობის ხელმძღვანელი;
79. ხუხუა შალვა ათანასეს ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის მეეზოვე-დარაჯი;

80. გაბუნია ერმაკ ალექსანდრეს ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატის ცეცხლფარეში;
81. თუმანიშვილი ვალერიან ალექსანდრეს ძე—თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის დირექტორი;
82. ჩანჩიბაძე ნადეჟდა ვლადიმერის ასული—მანარაძის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
83. დოლიძე ელენე გიგოს ასული—მანარაძის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
84. ბაქარიანი რაფიკ ჯეროფის ძე—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
85. უზუნიათი ლენა შავაშის ასული—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
86. გრიგორიანი ჯულიეტა ოგანეზის ასული—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
87. კარმაჯიანი მიკირტიჩ სურენის ძე—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი;
88. კაზარიანი ოფელია ქრისტეფორეს ასული—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
89. კარაპეტიანი ბარსიკ სპირიდონის ასული—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
90. აკობიანი აშხენ სტეფანეს ასული—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელი;
91. მელქანიანი კარაპეტ მიკირტიჩის ძე—ახალქალაქის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის დარგში;
92. ჩავანავა თამარ ათანასეს ასული—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის აღმზრდელი;
93. კალანდაძე ქეთევან სამსონის ასული—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის აღმზრდელი;
94. ლეჟავა ეკატერინე ჯიბოს ასული—კოჯრის № 1 საბავშვო სახლის ექიმის თანაშემწე;
95. პეტრიაშვილი თარიმან მიხეილის ძე—თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ბორბალოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
96. სამანიშვილი ლამარა შალვას ასული—ვაშლოვანის საბავშვო სახლის პიონერხელმძღვანელი;

- 97. საგინაშვილი არჩილ სიმონის ძე—ვაშლიკაძის საბჭოთა სახლის დირექტორი;
- 98. შელია გიორგი ბათლომის ძე—ქ. ზუგდიდის № 2 სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში;
- 99. ბებია მამია გრიგოლის ძე—ახალსოფლის სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში;
- 100. ჯანუაშვილი ალექსანდრე ბათლომის ძე—ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;
- 101. ცქიტიშვილი მიხეილ პეტრეს ძე—საოკეანო თევზჭერის სამმართველოს უფროსი;
- 102. ფარლალავა შოთა ივანეს ძე—ფოთის ტორფის ქარხნის დირექტორი;
- 103. არველაძე დავით სოლომონის ძე—ახმეტის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე;
- 104. ალბეთაშვილი ვარდენ ონისიმეს ძე—ახმეტის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- 105. გაბისონია რევაზ ალექსანდრეს ძე
- 106. ჯავახაძე პეტრე ლუკას ძე—კასპის სკოლა-ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე;
- 107. მუხაშავრია სევერიანე მოსეს ძე—მახარაძის რაიონის ძიბითის კოლმეურნეობის თავმჯდომარე;
- 108. მდინარაძე ნოდარ დავითის ძე—საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მდივანი;
- 109. ჭეიშვილი ვახტანგ ალექსის ძე—ლაითაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი;
- 110; ლეყავა გრიგოლ თომას ძე—მახარაძის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი;
- 111. ხელაშვილი ვლადიმერ გიორგის ძე—თელავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;
- 112. ჩხიკვაძე სერგო თედორეს ძე—ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის დირექტორის თანაშემწე სამეურნეო დარგში;
- 113. ბერუჩაშვილი არჩილ სტეფანეს ძე—ქ. თბილისის № 4 ღვინის ქარხნის დირექტორი (№ 3 სკოლა-ინტერნატის შეფი);
- 114. ბზიშვილი ნინო გაბრიელის ასული—ატენის სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილე სასწავლო-საადმინისტრაციო მუშაობის დარგში;

115. ჭანტურია ნოე იასონის ძე—ცხაკაიას სკოლა-ინტერნატი
ის დირექტორი.

116. დალაქიშვილი არჩილ იოსების ძე—თეთრიწყაროს სკოლა-
ინტერნატის დირექტორი.

117. ჩხეიძე ქსენია ბებურის ასული—თეთრიწყაროს სკოლა-
ინტერნატის უფროსი აღმზრდელი.

118. ჯინჯიხაძე ლევან ვარდენის ძე—თეთრიწყაროს სკ. ინტ-
ის დირექტორის მოადგილე სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის
დარგში.

საქართველოს სსრ განათლების განათლების, უმაღლესი სკოლისა
მინისტრი **თ. დაშქარაშვილი** და სამეცნიერო დაწესებულებე-
ბის მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე **დ. მაღლაფერიძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1965 წ.
31 დეკემბრის ბრძანება № 1413

გურჯაანის, ახმეტის, ბოლნისის, ქობულეთის რაიონებისა და ქ. ქ. თბილისის და ქუთაისის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმების მასალებით დასტურდება, რომ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ღონისძიებებია გატარებული: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოსა და კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი და გამოცემულია სახელმძღვანელო დოკუმენტებისა და მასალების კრებული—„სასკოლო ბიბლიოთეკის დასახმარებლად“. გამოიცა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკის ე. კაკაბაძის წიგნი „რა წავაკითხოთ ბავშვებს“, ნაყოფიერ მუშაობას ატარებს სასკოლო ბიბლიოთეკების დასახმარებლად კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა. იგი, განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით, პერიოდულად სწავლობს სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობას და ადგილზე უწევს მათ მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას. უკანასკნელ ხანებში სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი მეთოდური და პრაქტიკული დახმარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ. მან ადგილზე შეისწავლა და თათბირებისა და კურსკონფერენციების მეშვეობით დახმარება გაუწია ქ. თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, გურჯაანის, ბოლნისის, სამტრედიის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასკოლო ბიბლიოთეკას.

ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მთელმა რიგმა სასკოლო ბიბლიოთეკებმა ერთგვარად გააუმ-



ჯობესეს მუშაობა და მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარებით შესძლეს აღეძრათ ბავშვებში წიგნისადმი სიყვარული, ჩაენერგათ მათში წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარი და ჩვევები. კარგად არის გაშლილი წიგნის პროპაგანდა მოსწავლეთა შორის ქ. თბილისის მე-80 საშუალო სკოლაში (სკოლის დირექტორი ლ. მელაძე, ბიბლიოთეკარი ე. ფოფხაძე). ეს ბიბლიოთეკა ქმედით დახმარებას უწევს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ ორგანიზების საქმეში. დამაკმაყოფილებლად არის მუშაობა დაყენებული აგრეთვე ბოლნისის ქართულ საშუალო (სკოლის დირექტორი შ. ბაკურაძე, ბიბლიოთეკარი ს. რეხვიაშვილი), გურჯაანის 1-ლი (სკოლის დირექტორი ა. ქავთარაძე, ბიბლიოთეკარი თ. შიუჯაშვილი), ახმეტის მე 2 (დირექტორი ს. დავიდოვი, ბიბლიოთეკარი მ. ეუაშვილი), ქ. თბილისის მე-17 (დირექტორი კ. ფანცულაია, ბიბლიოთეკარი ქ. ნადირაშვილი), 67-ე (დირექტორი გ. ვალაშვილი, ბიბლიოთეკარი ვ. ანდრაზაშვილი) და ზოგჯერ სხვა საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში. აღნიშნული სკოლების ბიბლიოთეკარები არ კმაყოფილდებიან მხოლოდ წიგნების გაცემით; მკითხველთა მეტი რაოდენობით მოზიდვის მიზნით ისინი ატარებენ მთელ რიგ მასობრივ ღონისძიებებს: მკითხველთა კონფერენციებს, წიგნის ხმამაღალ, მხატვრულ კითხვას, ლიტერატურულ დილა-სალამოებს, ექსკურსიებს მწერალთა სახლ-მუზეუმებში, საუბრებს წიგნის მნიშვნელობისა და მისი ფაქიზად მოპყრობის შესახებ, ახალი წიგნების გამოფენებს და სხვ.

აღნიშვნის ღირსია გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობა (სკოლის დირექტორი ა. მჭედლიშვილი). მიუხედავად იმისა, რომ ამ ბიბლიოთეკას არა აქვს შესაფერი ბინა, მისი მუშაკები ნ. ნაცვლიშვილი და მ. გულაშვილი მაინც ახერხებენ მოსწავლეთა შორის მიმზიდველი და საინტერესო მუშაობის გაშლას. ლიტერატურული სალამოების, ექსკურსიების მოწყობა, მწერლებთან შეხვედრა ამ სკოლაში ტრადიციადაა ქცეული. მიმდინარე წელს ბიბლიოთეკამ მოაწყო ლიტერატურული-სალამოები შიძღვნილი იაკობ გოგებაშვილის და აკაკი წერეთლისადმი, მოეწყო ექსკურსია ბოდბისხევისა და მირზაანში - ირ. ევდოშვილისა და ნიკო ფიროსმანიშვილის მშობლიურ სოფლებში. ექსკურსია ჩატარდა აგრეთვე იყალთოსა, გრემსა და ყვარელში, ილ. ჭავჭავაძისა და კ. მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმებში. ბიბლიოთეკა აგრეთვე აწყობს ე. წ. კითხვა-პასუხის სალამოებს, რაც დიდ დაინტე-



რესებას იწვევს მოსწავლეთა შორის და ფართოდ აბამს მუშაობაში სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. ბიბლიოთეკასთან ღია მხატვრული კითხვისა და დრამატული წრეები. ბიბლიოთეკის მუშაკებთან მჭიდრო კავშირში არიან კლასის ხელმძღვანელები და საგნის მასწავლებლები, რომელთა უშუალო მონაწილეობით შედგენილია და კლასებში გაკრულია საბავშვო ლიტერატურის სარეკომენდაციო სიები. ამ მუშაობის შედეგია ის, რომ მოსწავლეთა და მასწავლებელთა უმრავლესობა ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველია და მათი რაოდენობა 874-ს აღწევს.

მაგრამ მთელი რიგი სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობაში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებანი.

უპირველეს ყოვლისა. ჯეროვნად არ არის მოგვარებული სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდით დაკომპლექტების საქმე. სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შევსება, გარდა თბილისის სკოლებისა, უშუალოდ ბიბკოლექტორის მეშვეობით წარმოებს, ისე რომ შესაძენი წიგნების შერჩევაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ სკოლის ბიბლიოთეკარები; სკოლებმა ისიც კი არ იციან წელიწადში რამდენი თანხა აქვთ გამოყოფილი ახალი წიგნების შესაძენად. ამის შედეგად სკოლები ზოგჯერ ღებულობენ მათთვის სრულიად შეუფერებელ ლიტერატურას, ზოგჯერ კი ისეთს, რაც მათ უკვე აქვთ. მაგალითად, ახმეტის I საშუალო სკოლის ბიბლიოთეკამ 1963 წელს ბიბკოლექტორიდან მიიღო „მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შრომები“, XIII ტომი, გამოცემული 1960 წელს, აგრეთვე ტ. არბოლიშვილის „საბუნაღატრო აღრიცხვა საბიუჯეტო დაწესებულებებში“.

სკოლები ნაკლებად ღებულობენ საბავშვო ლიტერატურას უმცროსი ასაკის მოსწავლეთათვის, აგრეთვე სათავგადასავლო და მემუარული ხასიათის ლიტერატურას, მცირე რაოდენობით ღებულობენ რუსულ საბავშვო ლიტერატურას. სკოლები ძალზე მცირე რაოდენობით ღებულობენ აგრეთვე პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას. მოუწესრიგებელია პერიოდული ლიტერატურის გამოწერის საქმეც. შემოწმებული სკოლების უმრავლესობას გამოწერილი არა აქვს რუსული საბავშვო ჟურნალ-გაზეთები („პიონერსკაია პრავდა“, „მურზილკა“, „ვაჟატი“, „ზნანიე—სილა“, „ტეხნიკა მოლოდენი“ და სხვ.).

სასკოლო ბიბლიოთეკების ნაწილი მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ ბინებში (ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის, ზემო ალ-

ვანის, გურჯაანის რაიონის ბაკურციხის, შრომისა და ზოგადი განათლების (სახელმწიფო სკოლები). ბიბლიოთეკებს ზოგჯერ არ მოეპოვებათ საჭირო ინვენტარი; ისინი განსაკუთრებით განიცდიან ბიბლექნიკის (მკითხველთა ბარათები, ფორმულარები, ჯიბაკები, ჯამობრივი აღრიცხვის წიგნი, საკატალოგო ყუთები და სხვა) სიმცირეს.

რიგ სკოლებში მოუგვარებელია კატალოგების ორგანიზაციის საქმე. ბიბლიოთეკების ნაწილი არ აწარმოებს მკითხველებისა და მათზე გაცემული წიგნების აღრიცხვას. სუსტად არის გაშლილი აგრეთვე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. არ ხდება მკითხველთა ინტერესების შესწავლა და არ წარმოებს მათთვის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების გაცნობა. სასკოლო ბიბლიოთეკარები ნაკლებად ზრუნავენ შეაჩვიონ ბავშვები რუსული ლიტერატურის კითხვას და ისედაც მცირე ფონდი რუსული საბავშვო წიგნებისა, რაც სკოლებს აქვთ, თითქმის გამოუყენებელია.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული დაზიანებული წიგნების აღდგენა-რესტავრაციის საქმე. მოუგვარებელია სკოლების ერთი ნაწილის ბიბლიოთეკართა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საკითხი. მთელ რიგ სკოლებში ბიბლიოთეკარებად მუშაობენ სათანადო ცენზისა და გამოცდილების არმქონე მუშაკები. რაც ზოგ შემთხვევაში იწვევს საბიბლიოთეკო მუშაობის ჩაშლას სკოლებში. ასე, მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლაში ბიბლიოთეკარად მუშაობს გ. კ. თავთეთ-რიშვილი (სკოლის დირექტორი ი. ბაირამოვი). იგი თუმცა უმაღლესი ფილოლოგიური განათლებით არის, მაგრამ საბიბლიოთეკო საქმისადმი ინტერესს არ იჩენს. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკის მუშაობა მიმდინარე წელს სკოლის პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნადაც გამხდარა და დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გარდასაქმნელად, თავთეთრიშვილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მას არ გააჩნია სამუშაო გეგმა, წესრიგში არ არის საინვენტარო წიგნი (არ არის ზონარგაყრილი, დალუქული და ხელმოწერილი), წიგნადი ფონდი არ არის სათანადოდ დამუშავებული, არ არის შედგენილი არც ერთი სახის კატალოგი, წესრიგში არ არის მკითხველთა ფორმულარები, არ წარმოებს ჯამობრივი აღრიცხვა, მასობრივი მუშაობა წიგნის პროპაგანდისათვის და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობაა ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის (დირექტორი ა. ბახტურიძე) ბიბლიოთეკაში.



ბიბლიოთეკარი მ. ხ. მურთაზაშვილი საშუალო განათლებითაა აღჭურვილი. აქვს ბიბლიოთეკაში მუშაობის 17 წლის სტაჟი, მაგრამ ის მანამ ვერ ატარებს სათანადო მუშაობას, მოგვარებული არა აქვს წიგნების გაცემისა და აღრიცხვის საქმეც კი.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ქ. თბილისის I საშუალო სკოლის ბიბლიოთეკაში, რომელსაც არსებობის ხანგრძლივი ისტორია და საუკეთესო ტრადიციები აქვს და რომლის წიგნაღწერილობა ფონდი შეიცავს უნიკალურ ეგზემპლარებს, ამჟამად იგი თითქმის უმოქმედოა, იმის შედეგად, რომ ეს საქმე მიანდეს არასპეციალისტს, საბიბლიოთეკო მუშაობის გამოცდილების არმქონე მუშაკს ნ. კობერიძეს. 1965 წლის მანძილზე ბიბლიოთეკას არ შეუძენია არცერთი ცალი წიგნი. აქ ჩაშლილია აკრედიტაციის მასობრივი ხასიათის საბიბლიოთეკო მუშაობა.

სუსტია სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა და პედაგოგიური კაბინეტების მხრივ. ამავდროულად ეწყობა სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის შესწავლა და საჭირო ღონისძიებების გატარება. არ ხდება სასკოლო ბიბლიოთეკების საუკეთესო მუშაკთა გამოცდილების განზოგადება.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს უკანასკნელი წლების განმავლობაში არ მოუწყვია სასკოლო ბიბლიოთეკართა გადამამზადებელი კურსები.

სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობის გარდაქმნის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აუხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი, რისთვისაც პერიოდულად შეისწავლონ მათი მუშაობა, გახადონ იგი კოლევებისა და სახალხო განათლების საბჭოების მსჯელობის საგნად და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) სისტემატურად ჩაატარონ რაიონული და საქალაქო სემინარები და მათ ხელმძღვანელებად გამოიყენონ მოწინავე ბიბლიოთეკარები;



გ) ჩამოაყალიბონ პედაგოგიკების სასკოლო ბიბლიოთეკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიბლიოთეკებისადმი მივ მეთოდურ ხელმძღვანელობას;

დ) საგანგებოდ შეისწავლონ სასკოლო ბიბლიოთეკების ნივთიერი მდგომარეობა (ბინა, ინვენტარი) და უზრუნველყონ ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების გამოსწორება.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) მუდმივი დახმარება და კონტროლი გაუწიონ სასკოლო ბიბლიოთეკებს:

ბ) პერიოდულად მოისმინონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ბიბლიოთეკის მუშაობის საკითხი და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მუშაობის გარდასაქმნელად;

გ) გადასინჯონ წიგნადი ფონდი და გაწმინდონ იგი მოძველებული ლიტერატურისაგან;

დ) იზრუნონ ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და, ამ მიზნით, ის ბიბლიოთეკარები, რომლებსაც არა აქვთ სათანადო ცენზი და გამოცდილება, პირველ რიგში მიაგლინონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გადამსახედებელ კურსებზე.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა უზრუნველყოს ყოველწლიურად სასკოლო ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მოწყობა იმ ვარაუდით, რომ ეს კურსები უახლოეს წლებში გაიაროს სათანადო ცენზისა და გამოცდილების არმქონე ყველა სასკოლო ბიბლიოთეკარმა.

4. ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ (დირექტორი ვ. გოგოლაძე) გააფართოოს მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება სასკოლო ბიბლიოთეკებისადმი, შეადგინოს ამ მიმართულებით ჩასატარებელი ღონისძიებების გეგმა და წარმოადგინოს იგი განათლების სამინისტროში დასამტკიცებლად.

5. სკოლების სამმართველომ (უფროსი დ. ჯავახია) ი. გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკასთან ერთად:

ა) უზრუნველყოს სასკოლო ბიბლიოთეკარების დასახმარებლად ბროშურების გამოცემა წიგნობრივი ფონდებისა და კატალოგების ორგანიზაციის, მკითხველთა მომსახურებისა და სხვა საკითხებზე;

ბ) ჩაატაროს 1967 წლის განმავლობაში სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერება, რისთვისაც შეადგინოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად დათვალიერების დებულება.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს (თავმჯდომარე ამხ. მ. მეტელიაშვილი):

ა) მომავალში მეტი რაოდენობით გამოუყოს ბიბკოლექტორს სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის საბავშვო, მხატვრული და პედაგოგიურ-მეთოდური ლიტერატურა;

ბ) დაავალოს „საქწიგნს“ რათა ბიბკოლექტორმა მომავალში არ დაუშვას სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის წიგნების შერჩევა-განაწილება სკოლებსა და განათლების განყოფილებებთან შეუთანხმებლად.

7. იმ მიზნით, რათა სკოლებს საბიბლიოთეკო მუშაობაში ქმედითი დახმარება გაეწიოს ადგილებზე, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ა. კვაჭაძე) 1966 წლისათვის გაითვალისწინოს ი. გოგებაშვილის სახ. ბიბლიოთეკისათვის სამივლინებო და საფოსტო ხარჯების გაზრდა.

8. ქ. თბილისის, გურჯაანისა და ახმეტის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა (ამხ. ამხ. თ. ეგაძე, ს. სალაძე, მ. თოღაშვილი) არსებული წესის დაცვით გაათავისუფლოს სამუშაოდან როგორც შეუფერებელი: თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი ნ. კობერიძე, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი მ. მურთაზაშვილი და გურჯაანის რაიონის შრომის საშუალო სკოლის ბიბლიოთეკარი გ. თავთეთრაშვილი. მათვე უზრუნველყონ ამ სკოლებისათვის სათანადო ცენზისა და გამოცდილების მქონე მუშაკთა შერჩევა.

9. დაწესდეს, რომ მომავალში საშუალო სკოლებში ბიბლიოთეკარის თანამდებობაზე პირველ რიგში დანიშნული უნდა იქნენ სპეციალური განათლების მქონე პირები—საბიბლიოთეკო ფაკულტეტის კურსდამთავრებულნი—ხოლო სადაც საამისო შესაძლებლობა არაა, ბიბლიოთეკის გამგედ უნდა შეირჩნენ ისეთები მასწავლებელთა რიგებიდან, რომლებიც სათანადო ინტერესს იჩენენ ამ საქმისადმი და შეუძლიათ მისი გაძღოლა.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1965 წლის 18 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ ვაჭრობისა და საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს 1965 წლის 22 ნოემბრის
ბრძანება № 239/1249

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის 1964 წლის 30/IV—№ 128
ბრძანების „ზოგად საგანმანათლებლო სკოლებში მოხწავლეთა კვე-
ბითი მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შეს-
რულების მიმდინარეობაზე

შემოწმებით გამოირკვა, რომ ბოლო დროს საზოგადოებრივი
კვების ტრესტებმა, სავაჭრო ორგანიზაციებმა და განათლების ორ-
განობმა გარკვეული მუშაობა ჩატარეს მოსწავლეთა კვებითი მომ-
სახურების საქმის გასაუმჯობესებლად

სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების უმრავლესობაში გაი-
ზარდა საუზმეულის, კერძების ასორტიმენტი და გაუმჯობესდა მათი ხარისხი.

სასადილოების თბილისის მარცხენა ნაპირის ტრესტმა მიმდი-
ნარე წელს 2 საბაზო სასადილო (№ 58 და № 128) გახსნა, რომლებიც 56 სკოლის 50, 437 მოსწავლეს უწყევს მომსახურებას.

110 სკოლაში, რომელთაც სახელმწიფო ვაჭრობა ემსახურება, მათ შორის: რუსთავის 2, ფოთის—5, ბათუმის—10, ქუთაისის—20 და თბილისის—65 სკოლაში ორგანიზებულია გახანგრძლივებულ სწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეთა ცხელი კერძებით კვება.

63 სკოლაში კვებით მომსახურება უშუალოდ უმცროს კლასელებსა და საკლასო ოთახებში სწარმოებს.

რიც ქალაქებში გაიხსნა ახალი სკოლები, რომლებშიც მოეწყობა თანამედროვე სავაჭრო-ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი ბუფეტები და სხვა.

მიუხედავად აღნიშნულისა, მოსწავლეთა კვებით მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ აქვს ადგილი მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცხინვალვაჭრობამ, თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი



კვების ტრესტების სამმართველომ, სასადილოების რუსთავის ქუთაისის ტრესტებმა და ზოგიერთმა სხვა ორგანიზაციამ ვერსრულა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 1964 წლის 30 IV - № 128 ბრძანებით გათვალისწინებული დავალება უგამყიდველო ბუფეტების მოწყობისა და უმცროს კლასელთა საკლასო ოთახებში კვების ორგანიზაციის შესახებ, ხოლო აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრომ და სასადილოების რუსთავის ტრესტმა დავალება თითო საბაზო სასადილოს გახსნის შესახებ.

სუსტად ინერგება საუზმეულის გაშვება აბონემენტებით. აბონემენტების გაყიდვის აწ 9 თვის გეგმა საქურორტვაჭრობამ—21%-ით, ფოთვაჭრობამ—23, 3%-ით,—სასადილოების თბილისის მარჯვენა ნაპირა ტრესტმა—24, 2%-ით, საქვაჭრობამ—39% ით შეასრულეს.

მოქმედი ბუფეტების უმრავლესობა ჯერ კიდევ მოთავსებულია ვიწრო და შეუფერებელ სათავსოებში, სადაც არა აქვთ წყალგაყვანილობა, კანალიზაცია, მაცივარ-დანადგარები, ელექტრო ან გაზტურები და სხვა საჭირო მოწყობილობა.

რუსთავის № 17 სკოლის დირექციამ, ბუფეტის კეთილმოწყობილი სათავსო საკლასო ოთახად გადააქცია, ხოლო ბუფეტი ვიწრო შეუფერებელ სადგომში გადაიყვანა.

სასადილოების თბილისის მარცხენა ნაპირა ტრესტის—32 და გორვაჭრობის მომსახურებაში შემავალ—12 სკოლის ბუფეტს არა აქვთ 2—4 ზედადგრიანი ქურები და კერძებს, ცხელ სასმელებს და სხვას ნავთქურაზე ან საოჯახო ელექტროქურაზე აკეთებენ, რაც სახანძრო ინსპექციის მიერ აკრძალულია. ქუთაისის 13 სკოლის ბუფეტს არა აქვს მაცივარი, 12 ბუფეტს მადულარი, 8-ს ქურა.

სასკოლო ბუფეტების უმრავლესობას არა აქვს სოსისის სახარში ელექტროქურები.

ფოთვაჭრობის 12 სკოლის ბუფეტიდან წყალი მხოლოდ ერთშია შეყვანილი. რუსთავის სასკოლო ბუფეტებში წყალი დღის განმავლობაში არ მოდის, ხოლო ბაკების უქონლობის გამო მათ არა აქვთ შესაძლებლობა ღამლამობით დაავროვონ წყალი, ამის გამო ბუფეტში სათანადო სანიტარულ პირობებს ვერ იცავენ. შემოწმებული ბუფეტების უმეტეს ნაწილს არა აქვს ცხელი გამდინარე წყალი და ჭურჭელი უხარისხოდ ირეცხება.

ქუთაისის, რუსთავის, გორისა და თბილისის რიგი ბუფეტები არ აწარმოებენ საუზმეულის წინასწარ მომზადებას—დაჭრას, აწო-



ნა-დაუღუფებას, რის გამოც ფერხდება მომსახურება და შესვენებაზე იქმნება რიგები.

მებუფეტეთა ნაწილმა არ იცის ჩაის, კაკაოს, ყავის ნორმები, მათი მომზადებისა და სოსისის მოხარშვის წესები.

რიგ სასკოლო სასადილოში და ბუფეტში არ იცავენ ასორტიმენტის სავალდებულო მინიმუმს, ყოველდღიურად და დღის ბოლომდე არა აქვთ სხვადასხვა სახის ბუტერბროდები, კატლეტი, ყველი, კვერცხი, ადუღებული რძე, ხაჭო, ხილი, თევზეულის, ბოსტნეულისა და ბურღულ-მაკარონის იაფფასიანი კერძები.

სასადილოების თბილისის მარჯვენა ნაპირის ტრესტის სასკოლო სასადილოებში და ბუფეტებში გახანგრძლივებულ სწავლებაზე გადაყვანილი ბავშვებისათვის არა აქვთ წინასწარ შედგენილი და სკოლის დირექტორების მიერ დამტკიცებული 6 დღიური მენიუ.

ვაჭრობის წესების დარღვევის, დაბალხარისხიანი კერძების მომზადების, მოსწავლეთა კვებით მომსახურების საქმის გაუარესების ფაქტები გამოვლინებულია სასადილოების თბილისის მარცხენა ნაპირა ტრესტის № 13 რაისამზარეულოს, № 24 სკოლასთან არსებულ სასადილოში (მზარეული მ. ლაიშვილი), № 2 გახანგრძლივებული სკოლის სასადილოში (მზარეული ა. ოგანეზოვი), № 132 რაისამზარეულოს № 103 სკოლასთან არსებულ სასადილოში (მზარეული-მებუფეტე ე. ლაბაძე), № 87, 89, 81, 58, სასადილოების თბილისის მარჯვენა ნაპირა ტრესტის—№ 68, 70, 67, 72, 63 ბუფეტებში და № 1 გახანგრძლივებული სკოლის სასადილოში (მზარეული თ. ხვედელიანი), სასადილოების რუსთავის ტრესტის—№№ 9, 12 და 17 სკოლის ბუფეტებში.

საქართველოს სსრ ვაჭრობისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების მიერ გასულ წელს დაშვებული სასკოლო ბუფეტების მუშაობის დებულების მიუხედავად, ზოგიერთი განათლების ორგანო, სკოლის დირექტორი, პედაგოგი, სავაჭრო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ უწევენ ქმედით დახმარებას მოსწავლეთა მომსახურების პროგრესული მეთოდების დანერგვაში, უგამყიდველო ბუფეტების მოწობაში, აბონემენტების რეალიზაციაში, უვარგისი სათავსოების შეცვლაში, არსებულის კეთილმოწყობაში, მათი მაცივრებით, ქურებით, მადურებით და სხვა მოწყობილობით აღჭურვაში, შესვენებებზე პედაგოგთა და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელთა მორიგეობის შემოღებაში და სხვა.



რუსთავის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, გორის, ფოთის სხვა ქალაქების ხორცკომბინატებმა დღემდე ვერ უზრუნველყვეს მოსკოვური კატლეტის და დოზირებული სოსისის გამოშვება. ზოგიერთი ქალაქის რძის კომბინატი არ უშვებს წვრილად დაფასობულ (200—250 გრ.) მაწონს, არაქანს და ხაჭოს კვერს. სასადილოების რუსთავის ტრესტი თითქმის არ ღებულობს ხსენებულ რძემეფავა პროდუქტებს.

თბილისის ხორცკომბინატი მოსკოვური კატლეტით, დოზირებული სოსისით სისტემატურად და საკმაო რაოდენობით ვერ ამარაგებს სასკოლო ბუფეტებს და ხშირ შემთხვევაში აღნიშნული დაბალი ხარისხისაა.

თბილისის № 5, ფოთის № 2, ქუთაისის № 3 და რუსთავის ავტოსატრანსპორტო კანტორები სავაჭრო ორგანიზაციებს ხშირად დაგვიანებით უგზავნიან მანქანებს, რომლებიც ამავე დროს სანტიქნიკურად მოუწესრიგებელია. თბილისის № 5 ავტოსატრანსპორტო კანტორიდან, სასკოლო კვების № 66, 132, 134 რაისამზარეულოებში ა/წლის 11, 13 /IX—2, 29/X—ს, №№ 23—98, 33—73, 58—44, 57—15 და 89—35 ავტომანქანები 2—3 საათით დაგვიანებით გამოცხადდნენ, რამაც დააბრკოლა საუზმეულის დროზე გაცემა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასადილოების თბილისის მარჯვენა, მარცხენა ნაპირის და რუსთავის ტრესტების დირექტორებმა:

დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მოსწავლეთა კვებით მომსახურებაში არსებულ ნაკლთა გამოსასწორებლად;

პირადი კონტროლი დააწესონ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობაზე და უზრუნველყონ ბუფეტებამდე აბონემენტების რეალიზაციის გეგმების დაყვანა; მიაღწიონ, რომ ბუფეტებში და სასადილოებში წარმოებდეს საუზმეულის წინასწარი გამზადება—დაჭრა, აწონა, დაულუფება; დაცული იქნეს ასორტიმენტის სავალდებულო მინიმუმი და ამ მიზნით ყველა ბუფეტში გამოაკრან ეს ასორტიმენტი; სამუშაო დღის ბოლომდე იქონიონ სხვადასხვა სახის ბუტერბროდები, სოსისები, კატლეტი, ხილი, კისელი, ცხელი სასმელები.

სასადილოების თბილისის მარცხენა ნაპირა ტრესტის სასკოლო კვების რაისამზარეულოებმა შეწყვიტონ სასკოლო ბუფეტებში და სასადილოებში ბორჯომისა და ლიმონათის რეალიზაცია; ფარ-

თოდ აწარმოონ სხვადასხვა წვენების, აგრეთვე ხილფაფისა და ჯიშების 50—100 გრამობით გაყიდვა.

შემოწმების მასალები განიხილონ თათბირებზე და ის პირები, რომლებმაც დაუშვეს ვაჭრობის წესების უხეში დარღვევები, უხარისხო კერძების დამზადება, აღსაზრდელთა კვებით მომსახურების საქმის გაუარესება და სხვა—დასაჯონ მკაცრად და გატარებულ ღონისძიებათა შესახებ შედეგები ბრძანებასთან ერთად აცნობონ საქ. სსრ ვაჭრობის სამინისტროს ა/წ 15 დეკემბრამდე.

2. სასადილოების თბილისის მარცხენა ნაპირა ტრესტის № 132 სასკოლო კვების რაისამზარეულოს გამგეს ამხ. დ. ჭანიშვილს, სასკოლო კვების ინსპექტორებს თ. გოგოლაძეს და ს. ჩუგოშვილს სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობისადმი სუსტი კონტროლისათვის, ვაჭრობის წესების უხეში დარღვევების გამოვლინებისათვის და აღსაზრდელთა კვების მომსახურების საქმის გაუარესებისათვის გამოეცხადოთ საყვედური, ხოლო ხსენებული ტრესტის № 134 რაისამზარეულოს გამგე ამხ. ომიადე—მკაცრად იქნეს გაფრთხილებული.

3. მიზანშეწონილად იქნას ცნობილი, რომ საზოგადოებრივი კვების ტრესტების და სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობაზე პასუხისმგებლობა და უშუალო კონტროლი დააკისრონ ტრესტის დირექტორების მოადგილეებს, რომელთაგანაც სისტემატურად მოითხოვონ ინფორმაცია აღსაზრდელთა კვების მომსახურების მდგომარეობაზე.

4. ქ. თბილისის საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველომ, რუსთავის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებამ, სავაჭრო ორგანიზაციებმა და საზვეების ტრესტებმა, განათლების ორგანოებისა და სკოლების მოთხოვნილებების საფუძველზე, უზრუნველყონ სასკოლო ბუფეტები და სასადილოები სოსისის სახარში ქვაბებით, მაცივარდანადგარებით, ელექტრო და გაზქურებით, ელექტრომადულრებით და სხვა საჭირო მოწყობილობებით.

5. განათლების ორგანოები, სკოლების დირექტორები, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ აღსაზრდელთა კვებით მომსახურების საქმეს, აქტიური დახმარება აღმოუჩინონ სავაჭრო ორგანიზაციებს პროგრესული მეთოდების დანერგვაში, განსაკუთრებით აბონემენტების რეალიზაციის, უგამყიდველო ბუფეტებისა და საკლასო

7. კრებულ



ოთახებში მცირეწლოვან მოსწავლეთა კვებით მომსახურების განიზაჯის საქმეში.

უახლოეს მომავალში გამონახონ საშუალებანი ბუფეტის ვიწრო და შეუფერებელი სათავსოების შესაცვლელად, არ დაუშვან მათი სარდაფებში, კიბეების ქვეშ და სხვა შეუფერებელ ადგილებში არსებობა, შეიძინონ მაცივარ-დანადგარები, 2—4 ზედადგრიანი გაზის ან ელექტროქურები, ელმადულრები, სოსისის სახარში ქვაბები და სხვა აუცილებელი მოწყობილობა, მოაწყონ წყალგაყვანილობა და კანალიზაცია; შესვენებებზე უზრუნველყონ პედაგოგთა და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელთა მორიგეობა; გააძლიერონ კონტროლი ბუფეტის მუშაობაზე, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ განხარჯილებულ სწავლებაზე გადაყვანილ მოსწავლეთა კვების საქმეს.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროებს, რომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებს შესაბამისად ქალაქებში უზრუნველყონ დოზირებული ხარისხიანი სოსისის, მოსკოვური კატლეტის, 200—250 გრ. ქილებში მაწონის, არაჟანის, ხაჭოს კვერის, 50 გრ. ნამცხვრის, ხილფაფის და სხვ. გამოშვება, იმ რაოდენობით, რომ დააკმაყოფილონ სავ. კრო ორგანიზაციების განაცხადები.

7. დაისვას საკითხი საქ. სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს წინაშე, რომ დაავალოს რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო კანტორებს არ დაუშვან სასკოლო კვებისათვის გამოყოფილი მანქანების დაგვიანებით გამოსვლა, უზრუნველყონ მათი სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

8. აუხაზეთისა და აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრებმა, თბილისის აღმასკომის საცალო სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების სამმართველოს უპროსმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქუთაისისა და რუსთავის აღმასკომის ვაჭრობის განყოფილებათა გამგებმა, სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა და განათლების ადგილობ-ივმა ორგანოებმა გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და საქ. სსრ ვაჭრობის მინისტრის 1964 წ. 30/V—№ 128 ბრძანებისა და ერთობლივად დაშვებულ სასკოლო კვების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ დებულების განუხრელად შესრულებას.

9. საზღვების სამმართველომ შემოწმების მასალები გადაუგზავნოს შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს საჭირო ზომების მისაღებად.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის მოადგილე: საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე:

ვ. ჯინჯიჩაძე

უ. აბთლაძე

5.6/5



შინაარსი

| | |
|--|-----|
| 1. ბრძანება № 1352—საქართველოს სსრ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ | 3 |
| 2. ბრძანება № 1373—ნორჩ ავიამოდელისტთა XXXIV და ნორჩ გემთმოდელისტთა II რესპუბლიკური შეჯიბრების შედეგებისა და ნორჩ ავიამოდელისტთა XXXV და გემთმოდელისტთა III რესპუბლიკური შეჯიბრების ჩატარების შესახებ | 10 |
| 3. Приказ № 1373—об итогах XXXIV Республиканских соревнований юных авиамodelистов, II Республиканских соревнований юных судомodelистов и о проведении XXXV Республиканских соревнований юных авиамodelистов и III Республиканских соревнований юных судомodelистов | 35 |
| 4. ბრძანება № 1389—საბავშვო სახლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ | 59 |
| 5. ბრძანება № 1399—სკოლების სამმართველოს ინსპექტორების რაიონებისა და ქალაქების სკოლებზე ზონების მიხედვით მიმდგრების შესახებ | 66 |
| 6. ბრძანება № 1400—ხობისა და წალენჯიხის რაიონების ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ | 68 |
| 7. ბრძანება № 1412—სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის მუშაკთა ერთი ჯგუფის სამკერდე ნიშნით—„სახალხო განათლების წარჩინებული“ დაჯილდოების შესახებ | 75 |
| 8. დადგენილება—განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების საზოგადოებრივ დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის საბატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ | 178 |
| 9. ბრძანება № 1413—გურჯაანის, ახმეტის, ბოლნისის, ქობულეთის რაიონებისა და ქ. ქ. თბილისის და ქუთაისის ზოგიერთი სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ | 86 |
| 10. ბრძანება № 239/1249—საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 1964 წლის 30/IV-ის № 128 ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა კვებით მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ შესრულების მიმდინარეობაზე | 93 |